ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 21 აგვისტო 1997 №97 (462) | ფასი 40 თეთრი


# სკანდალი №3

## ბათუმი — არარატი 0:3

## ბათუმს წაგება ჩაუთვალეს — სოლოღაშვილს არ უნდა ეთამაშა

**მერაბ მამულაშვილი**
**ბათუმიდან**

თუ ასე გაგრძელდა, ქართულ საფეხბურთო სამყაროში ლამის ყოველ კვირაში აფეთქებულ ახალ-ახალ სკანდალთა დანომვრას ველარ ავუვალთ.

წინა „სარბიელში" იყო, მსოფლიოს მოფენილი ამბავი რომ გაუწყეთ, ფრანგულ პსჟ-ს „სტიაუასთან" სტუმრობისას იალიში მოსვლია, დისკვალიფიცირებული ლორან ფურნიე უთამაშებია, რისთვისაც 2:3-ის ნაცვლად 0:3 წაგება ჩაუთვალესო.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა. მართალია, „მარტო ჩვენ არ გვეშლება", მაგრამ სხვებზე ხშირად რომ გვეშლება და ერთი კვირის წინაც შეგვშლია, ფაქტია.

შეგვშლია და შეცდომას ჩვენ ვინ გვაპატიებდა, თასების თასის მფლობელს რომ არ აპატიეს?!. მაინც რა შეგვეშალა ასეთი? რა და, ერევნის „არარატთან" პარასკევის მატჩში თურმე დავით სოლოღაშვილს არ უნდა ეთამაშა. ითამაშა? ინებეთ, ბატონო, „ბათუმს" 4:2 მოგებულ მატჩში 0:3 წაგება ჩაეთვალა.

უეფადან გამოგზავნილმა ცნობამ შოკში და საგონებელში ჩააგდო ბათუმელთა თავკაცები, ისინი გამოსავლის ძიებაში არიან, ფეხბურთელებს კი სასოწარკვეთამდე არაფერი უკლიათ. 4:0-ის ერევანში მოგება როგორი საქმეა?

მომხდარის კომენტარი ვთხოვეთ კლუბის ტექნიკურ დირექტორს მევლუდ ცინარიძეს: ის. რომ სოლოღაშვილს „არარატთან" თამაშის უფლება არ ჰქონდა, ჩვენ არ ვიცოდით: უეფას, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და „კოლხეთს", საიდანაც ეს მოთამაშე დავიმატეთ, ამის თაობაზე არაფერი უცნობებიათ. თავად სოლოღაშვილი გაოგნებულია. ჩვენ ჯერ კიდევ შარშანდელი 27 სექტემბრით დათარიღებული ცნობა მივიღეთ უეფადან, რომლითაც გვაუწყებდნენ, რომ მალხაზ მახარაძესა და მუჯირს შემდგომ ევროტურნირში თამაშის უფლება არ ექნებოდათ. ასეთივე ცნობა სოლოღაშვილის დისკვალიფიკაციის თაობაზე, წესით, „კოლხეთსა" და ჩვენს ფეხბურთის ფედერაციასაც უნდა მიელოთ. არადა, ჩვენ არავინ გაგვაფრთხილა. წლევანდელი საევროპო განაცხადი რომ გავაგზავნეთ უეფაში, იქიდანაც არაფერი უთქვამთ სოლოღაშვილის გამო. „არარატთან" თამაში რომ გადაიდო, ამის გამო მატჩის ოქმი ორჯერ შევავსეთ და შეხვედრის ბერძენ კომისარს ერთხელაც არაფერი უთქვამს ამის თაობაზე. არადა, „პარი სენ ჟერმენი" მოთამაშის დისკვალიფიკაციაზე გაფრთხილებული იყო. გაირკვა, რომ სოლოღას შარშან ინტერტოტოზე „ზემუნთან" და ბუქარესტის „დინამოსთან" გაფრთხილება მიუღია, მაგრამ იუგოსლაველებთან უხეშობისთვის ნაჩვენები ყვითელი ბარათის შესახებ თავად მან არც იცოდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უეფას განაჩენს უსამართლოდ მივიჩნევთ და უეფაში აპელაციას გავაგზავნით!

მომხდარის შესახებ ფედერაციის კომენტარით დავინტერესდით. საამისოდ მხოლოდ ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსთან, ნოდარ კობერიძესთან დაკავშირება შევძელით. მისი თქმითაც, სოლოღაშვილის თაობაზე „ბათუმი" მატჩის კომისარს უნდა გაეფრთხილებინა. არადა, ამაზე ფიფას არბიტრმა თამაზ ლაცაბიძემ ეს გვითხრა, არც მსაჯი და არც კომისარი არანაირად არ არიან ვალდებული, ფეხბურთელებს გაფრთხილებები უთვალონ და თამაშის წინ შეატყობინონ — ამ საკითხს უეფა აგვარებსო. როგორც გაირკვა, უეფა ვალმოხდილია. მან სოლოღაშვილის დისკვალიფიკაციის ამბავი შარშანვე შეატყობინა მის მაშინდელ გუნდს ფოთის „კოლხეთს". ეს ცნობა დაადასტურა „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ხოხობაიამ:

— როგორც კი მინსკის „დინამოსთან" თამაშები ჩათავდა, ტორჩინავას და მამუკა გვასალიას გაფრთხილების შესახებ უეფამ წერილობით გვაცნობა. ეს წერილი ფოსტით, უშუალოდ კლუბში მივიღეთ და ასეთივე შეტყობინება მოგვივიდა შარშანაც ინტერტოტოს გათამაშების დამთავრებისთანავე.

**— გამოდის, თქვენ კი იცოდით, სოლოღაშვილის თამაში რომ არ შეიძლებოდა, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალეთ „ბათუმი" გაგეფრთხილებინათ...**

— არ ვიცი. სოლოღაშვილი ჩვენთან რომ დარჩენილიყო, შეიძლება ჩვენც დაგვეყენებინა. გაფრთხილების აღრიცხვა ჩვენ არ გვიწარმოებია და შარშანდელიც საიდან გვემახსოვრებოდა. ვფიქრობ, უეფას „ბათუმისთვის" უნდა გამოეგზავნა წერილი, სოლოღაშვილი არ ათამაშოთო.



პარასკევს „სოლოღა" ასე უნდა მჯდარიყო

ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ ნათელია. ესეც ქართული არხეინობის ბრალია. ეს ჩვენ გვგონია, რომ ვიცით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, არ ვიცით, სად არის სასწორი. ეს ჩვენ გვავიწყდება, რომ ვალს გადახდა უნდა. ეს ჩვენ მიგვაჩნია, რომ გასრულებული სეზონის შემდეგ კათხა ლუდის დალევა ლოთობაა. და ბოლოს, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ არ ვიცით, რომ გაგვაფრთხილეს. გულმავიწყობა ჩვეულებრივი, ადამიანური ცოდვაა, მაგრამ უეფა ამისთვის მკაცრად სჯის ცოდვილთ.

შემდგომ ეტაპზე ვერგასვლით „ბათუმი" 80 ათას ფრანკს დაკარგავს, ქვეყანას რეიტინგი დააკლდება, ჩვენი ფეხბურთი კი კიდევ ერთხელ ჩაიწიხლება.


# ყურადღება!

# სექტემბრიდან

# სარბიელი

# ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს გამოვა


### ფუნელი

ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. როდა — უტრეხტი 1:0, ხპარტა — გრააფსხაპი 1:1, გრონინგენი — ვოლენდამი 3:0, ვილემ II — ნაიმეგენი 1:2, ეინდჰოვენი — ვალვაიკი 5:1, ჰერენვენი — ბრედა 3:1

ესპანეთის სუპერთასი პირველი მატჩი. ბარსელონა — რეალი 2:1 (ნადალი 11, ჯოვანი 85; რაული 6)

## FRANCE 98 შესარჩევი ტურნირი

## ევროპა

### I ჯგუფი

**ბოსნია 3:0 დანია**

1:0 მუიჩინი (19), 2:0, 3:0 ბოლიჩი (25 პ, 35 პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| საბერძნეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 10 |
| ხორვატია | 5 | 2 | 3 | 0 | 10:6 | 9 |
| ბოსნია | 6 | 2 | 0 | 4 | 6:11 | 6 |
| სლოვენია | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

### III ჯგუფი

**ფინეთი 0:4 ნორვეგია**

0:1 სოლბაკენი (8), 0:2 რუდი (12), 0:3 ჯასტინ ფლო (48), 0:4 ტორე ანდრე ფლო (84)

**უნგრეთი 1:1 შვეიცარია**

1:0 კლაუში (53), 1:1 შაპუიზა (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 6 | 4 | 2 | 0 | 15:2 | 14 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| შვეიცარია | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ფინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | 7 |
| აზერბაიჯანი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:13 | 3 |

### IV ჯგუფი

**ესტონეთი 0:3 ავსტრია**

0:1 პოლსტერი (46), 0:2 პოლსტერი (69), 0:3 პოლსტერი (88)

**ბელარუსი 1:2 შვედეთი**

1:0 გურენკო (38), 1:1 კენეტ ანდერსონი (76), 1:2 ზეტერბერგი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 9:2 | 17 |
| ავსტრია | 7 | 5 | 1 | 1 | 11:4 | 16 |
| შვედეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 14:8 | 15 |
| ლატვია | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 7 |
| ესტონეთი | 8 | 1 | 1 | 6 | 4:14 | 4 |
| ბელარუსი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:12 | 4 |

### V ჯგუფი

**ბულგარეთი 1:0 ისრაელი**

1:0 პენევი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:5 | 15 |
| რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:2 | 14 |
| ისრაელი | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 13 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:17 | 0 |

### VI ჯგუფი

**ჩეხეთი 2:0 ფარერები**

1:0 კუკა (14 პ), 2:0 კოზელი (27)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 8 | 6 | 2 | 0 | 21:4 | 20 |
| იუგოსლავია | 8 | 6 | 1 | 1 | 23:6 | 19 |
| სლოვაკეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 14:7 | 12 |
| ჩეხეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:4 | 7 |
| ფარერები | 8 | 2 | 0 | 6 | 9:26 | 6 |
| მალტა | 8 | 0 | 0 | 8 | 2:31 | 0 |

### VII ჯგუფი

**თურქეთი 6:4 უელსი**

1:0 ჰაქანი (5), 2:0 საფეტი (7), 2:1 ბლეიკი (18), 2:2 სავაჯი (22), 2:3 სონდერსი (34), 3:3 ჰაქანი (37), 3:4 მელვილი (52), 4:4 ოგიუზი (61), 5:4, 6:4 ჰაქანი (72, 83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 6 | 5 | 0 | 1 | 23:3 | 15 |
| ბელგია | 6 | 5 | 0 | 1 | 16:6 | 15 |
| თურქეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 16:9 | 10 |
| უელსი | 7 | 2 | 1 | 4 | 18:18 | 7 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 0:37 | 0 |

### XIII ჯგუფი

**ლიხტენშტაინი 0:4 ისლანდია**

0:1 დანიელსონი (28), 0:2 გუნარსონი (41), 0:3 იონსონი (61), 0:4 გუდმუნდსონი (63)

**ირლანდია 0:0 ლიტვა**

**რუმინეთი 4:2 მაკედონია**

1:0 მოლდოვანი (36 პ), 2:0 გილჩა (40), 2:1 ჯოკიჩი (52) 3:1 მოლდოვანი (62), 4:1 დუმიტრესკუ (65), 4:2 ჯოკიჩი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 7 | 0 | 0 | 24:2 | 21 |
| მაკედონია | 8 | 4 | 1 | 3 | 21:14 | 13 |
| *ირლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 15:4 | 11 |
| ლიტვა | 7 | 3 | 2 | 2 | 6:5 | 11 |
| ისლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 8 | 0 | 0 | 8 | 2:40 | 0 |

### IX ჯგუფი

**ჩრდ. ირლანდია 1:3 გერმანია**

1:0 ჰიუზი (59), 1:1, 1:2, 1:3 ბირჰოფი (72, 77, 78).

**პორტუგალია 3:1 სომხეთი**

1:0 დომინგუში (22), 2:0 ფიგუ (30), 2:1 ასადურიანი (46), 3:1 ბარბოსა (53)

**უკრაინა 1:0 ალბანეთი**

1:0 რებროვი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 9 | 5 | 2 | 2 | 8:6 | 17 |
| გერმანია | 7 | 4 | 3 | 0 | 14:5 | 15 |
| პორტუგალია | 8 | 4 | 3 | 1 | 10:3 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| სომხეთი | 7 | 0 | 5 | 2 | 5:11 | 5 |
| ალბანეთი | 7 | 0 | 1 | 6 | 3:13 | 1 |

## სამხრეთ ამერიკა

**ეკვადორი 2:1 პარაგვაი**

0:1 ბაესი (5), 1:1 აგუინაგა (53), 2:1 გრაციანი (78)

## ევროპიდან რუმინეთი პირველია

... ბელფასტში ოლივერ ბირჰოფი შეცვლაზე შევიდა, ექვს წუთში სამი გოლი გაიტანა და გერმანიის ნაკრებს სტუმრად უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოაპოვებინა. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ბერტი ფოგტსის გუნდი მეცხრე ჯგუფში მაინც მეორე ადგილზეა. მას უსწრებს უკრაინა, რომელმაც ალბანეთს ძლივს სძლია.

— კარიერაში პირველი ჰეთ-თრიქი შევასრულე, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში სამი გოლის გატანა კი ყველა სხვა შეჯიბრების ჰეთ-თრიქს სჯობია — თქვა მატჩის შემდეგ გასული წლის ევროპის ჩემპიონატის გმირმა.

— ჩვენ თამაშის უმეტესი დროის მანძილზე უპირატესობას ვფლობდით — განაცხადა ფოგტსმა — მეტოქემ შეცდომები დაუშვა, თუმცა თავისი ძალაც აჩვენა.

გერმანელებს ჯერ კიდევ სამი თამაში აქვთ წინ, რუმინეთის ნაკრებმა კი საქმე მოითავა. მართალია, შესარჩევ ტურნირში გოლი პირველად გაუშვა, თან ორჯერ, მაგრამ ამ ორის წილ მაკედონიელებს ოთხი შეუგდო და... ტელევიზორს მიაშურა, რათა ირლანდია — ლიტვის მატჩისთვის ეცქირა. დუბლინის მატჩი უგოლოდ, 0:0 დამთავრდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუმინელები ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.

— დღევანდელი თამაში უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე ჩვენი პირველი შეხვედრა სკოპიეში — მოიგონა 3:0 მოგებული შეხვედრა რუმინელთა თავკაცმა ანგელ იორდანესკუმ.

— სამწუხაროდ, დაცვაში არასწორი ტაქტიკით ვითამაშეთ. ძნელიცაა არ გაუშვა, როდესაც ვიორელ მოლდოვანი, ადრიან ილიე და ილიე დუმიტრესკუ გიტევენ — განმარტა მაკედონიელმა მწვრთნელმა ჯორკო ჰაჯიევსკიმ.

რუმინეთის გამარჯვებულმა ნაკრებმა ამ შეხვედრაში ათამაშა: სტელეა, პეტრესკუ, პროდანი (ჩიბოტარიუ 74), დობოსი, გილჩა (გაბრიელ პოპესკუ 84), გეორგ პოპესკუ, სელიმეში, სერბანი, მოლდოვანი (კრაიოვეანუ 80), ილიე, დუმიტრესკუ.

და კიდევ ერთი მატჩი, რომლის ხსენებაც ცხელ გულზე უპრიანია. სტამბოლში ჰაქანმა ოთხჯერ შეაგდო და თურქეთმა უელსს 6:4 მოუგო. თუ რა სიხშირით გადიოდა გოლები, ეს თამაშის ოქმშიც კარგად ჩანს, ჰაქანი კი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო.

— მე გამქონდა გოლები. მე ბედნიერი ვარ — ესღა თქვა თურქმა.

— ეროვნულ გუნდსა და თურქ ხალხს დღეს საოცარი საღამო ჰქონდათ. ჩვენ დიდი ნაკრების ღირსნი ვართ და ის გვყავს კიდეც — განაცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ.

თბილისი
ეროვნული
20 აგვისტო

**საქართველო 1:0 რუსეთი**

ახალგაზრდული გუნდები

**საქართველო:** გვარამაძე, ხუჯაძე, ცქიტიშვილი, წერეთელი, გემეზაშვილი, ჩომახიძე (გოგობერიშვილი 46), ლაცაბიძე (ალექსიძე 46), მონასელიძე, მუჯირი (წიტაიშვილი 67), ქებაძე, იაშვილი
**რუსეთი:** ჩიჩკინი (მაშუკი 46), პოვოროვი, დუროვი, ბურჩენკოვი, პერვუშინი, აგაევი, საველიევი (კულიჩენკო 46), ბისტროვი, კირიჩენკო (მატიოლა 77), ფიშმანი (სმირნოვი 46), კოროვუშკინი (სემშოვი 46)
1:0 იაშვილი (18)
**გაფრთხილება:** პოვოროვი, მონასელიძე
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (საქართველო)

# ისტორიას ხომ შემორჩება

ოცი დღის შემდეგ ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებს მეტად მნიშვნელოვანი მატჩი აქვს ჩასატარებელი იტალიელ თანატოლებთან. სწორედაც რომ უმნიშვნელოვანესი. გემახსოვრებათ, გუცაევის ბიჭებმა არეცოში როგორი ფიასკო განიცადეს და ახლა, სხვა თუ არაფერი, რევანშისთვის მაინც უნდა იბრძოლონ. გუშინ კი ეროვნულ სტადიონზე წინა-



ბადრი ქეთილაძის ფოტო

გუცაევს და პანოვს გარჯა უფასდებათ

საიტალიო რეპეტიცია გაიარეს, რუსებს უმასპინძლეს და გაიმარჯვეს. თუმცა ანგარიშისთვის არავის მიუქცევია მაინც და მაინც დიდი ყურადღება, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდული ნაკრები ნელ-ნელა თავს აღწევს ფსიქოლოგიურ სტრესს, თანაც ვაჟკაცურად თამაშობს. ასე იყო რუსებთან თამაშის დროსაც. ხისტი, აგრესიული, ლამის უხეში ფეხბურთით რუსებს ალბათ ვერავინ გააკვირვებს, ამ შეხვედრისას კი ხშირი იყო ისეთი მომენტები, სტუმრები მინდორზე რომ გორავდნენ და არა საკუთარი ინიციატივით — ქართველებს მთელს მოედანზე განაწილებული ჰყავდათ მეტოქის ფეხბურთელები, ბურთს მიიღებდნენ თუ არა, ისეთი ორთაბრძოლები ჩაღდებოდა, ჩვენი კლუბების, თუნდაც ნაკრებების თამაშებისას იშვიათობას რომ წარმოადგენს. იტყვით, რუსებს ხისტ თამაშში ვინ გაეჯიბრებაო? ვინ და საქართველოს ახალგაზრდული გუნდი. მართალია, გუშინ მასპინძლებს მეტისმეტად შესუსტებული შემადგენლობით მოუხდათ თამაში, თანაც მატჩისთვის მხოლოდ გუშინწინ შეიკრიბნენ, მაგრამ რუსებს ისეთი ბრძოლა გაუმართეს, შესუსტებულობისა არაფერი ეტყობოდათ.

მასპინძლებს თავიდანვე ჰქონდათ უპირატესობა, თუმცა მაინც იგრძნობოდა, რამდენიმე ახალი, ნაკრებში ჯერ უთამაშებელი ფეხბურთელი მთლად კარგად რომ ვერ უგებდა ძველებს. ისე, თავი არავის დაუზოგავს, ბოლომდე ცდილობდნენ უნარის გამოჩენას, მაგრამ გამოუცდელობას თავისი გააქვს.

პირველი სახიფათო მომენტი იაშვილ-მონასელიძე-ქებაძის კომბინაციას მოჰყვა, როცა რუსმა მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს ქებაძე და ის ჩიჩკინთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ სისწრაფე დააკლდა და მეკარემ დაასწრო. ამ ეპიზოდიდან მოყოლებული, ქართველები მოედნის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ. ისედაც უსუსური სტუმრები ისე ქაოსურად მოქმედებდნენ, რომ ცენტრის ხაზამდეც კი უჭირდათ ბურთის ხეირიანად მიტანა. აღარაფერს ვამბობთ შეტევაზე — ამ დროის მანძილზე ერთი-ორჯერ კი წამოიწყეს, მაგრამ ვაი ასეთ შეტევას. ისე, არც სტუმრებისა იყო გასაკვირი, რადგან ისინი სულ ორი დღის შეკრებილები გახლდნენ და თბილისშიც, ფაქტობრივად, ახალი გუნდით ჩამოსულან. არც მთავარი მწვრთნელი მიხეილ გერშკოვიჩი ჩამოჰყოლიათ და არც რამდენიმე ძირითადი ფეხბურთელი.

ერთადერთი გოლი მე-18 წუთზე გავიდა: რუსების უიშვიათესი შეტევისას ბურთი აუტში გადავარდა, იქიდან გემეზაშვილმა მუჯირს მიაწოდა, ამან კი საკუთარ საჯარიმოსთან დაწყებული რეიდისას სამი სტუმარი ერთმანეთის მიყოლებით გააპამპულა, იაშვილს მცველებს შუა გაუჭრა პასი, იაშკამაც თავის მხრივ პოვოროვი და ბერჩენკოვი დასცა მიწაზე წესების დაურღვევლად და ჩიჩკინს მოძრაობის საპირისპიროდ შეუგდო.

გოლის შემდეგ ჩვენები მოდუნდნენ თუ სტუმრები გააქტიურდნენ, ძნელი სათქმელია, ფაქტი ისაა, რომ ათწუთიან მონაკვეთში რუსებს დაახლოებით ოთხი ნაღდი საგოლე მომენტი გაუცუდდათ. ჯერ კირიჩენკომ ოდნავ ააცილა ხარიხას, შემდეგ საველიევი ისე ტექნიკურად დაუსხლტდა მცველებს, ვერაფრით იფიქრებდით, რუსი თუ იყო, თუმცა გვარამაძესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ზემოდან გადააცილა. იქვე პირველ ტაიმში ყველაზე აქტიური ფიშმანი ურტყამდა, მაგრამ წერეთელი ფეხებში ჩაუწვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. ბოლოს კი ბისტროვის მარცხნიდან უძლიერესად დარტყმულს გვარამაძე ადგილზე დახვდა. ამასობაში მალაღურაძემ ფეხბურთელებს შესვენებაზე უხმო.

გუცაევმა ლაცაბიძე და ჩომახიძე გოგობერიშვილითა და ასევე ნაკრებში უთამაშებელი ალექსიძით შეცვალა, გუნდის ტაქტიკურ სქემაში გადაადგილებები მოახდინა და ჩვენების უპირატესობა კვლავ აშკარა გახდა, იაშვილის შეკავება კი შეუძლებელი. რასაც მოისურვებდა, ყველაფერი გამოსდიოდა, თანაც ისე ლამაზად ასრულებდა, ალალი იქნებოდა, კიდევ რამდენჯერმე ეხეირა. თუმცა რუსებმა იმდენჯერ იუხეშეს მის წინააღმდეგ, გასაკვირია, უტრავმოდ რომ დატოვა მინდორი. ამას მუჯირმაც აუბა მხარი და უნდა გენახათ, რუსები რა დღეში ჩავარდნენ — ბურთი საითკენ მოეშორებინათ, თვითონ არ იცოდნენ, მაგრამ ამათ უნდა თქვან, იღბალი გვქონიაო. მართლაც, საცოდაობა იყო, ერთზე მეტი რომ ვერ შევაგდეთ. ასე მე-80 წუთამდე გაგრძელდა. მერე, ეტყობა, ჩვენები დაიღალნენ, ნამდვილად არა ხუმრობა, რუსებს ხისტ თამაშში ტოლი არაფერში დაუდო. ჰოდა, ბოლო 10 წუთი უკვე სტუმრებისა იყო. ქართველებს დაცვაში პრობლემები შეექმნათ, ვერც მუჯირის გამოცვლის შემდეგ დალაგდა ადრინდელივით თამაში და უკვე რუსებმა გააცუდეს რეალური მომენტები. მათგან გამოსარჩევი კი რემშოვისა გახლდათ: ბურთი პენალტის ნიშნულთან მიიღო, ახლო-მახლო კაციშვილი არ ედგა, მხოლოდ გვარამაძე იდგა კარში, ამას კი ბურთი ფეხებში აებლანდა, მოულოდნელობისგან ისე ააცილა ბურთს, კინაღამ ფეხი ამოიგდო. წუთიც არ გასულიყო, იმავე სემშოვმა, რომ იტყვიან, პასი დაუხატა კულიჩენკოს. ამანაც მკერდზე მიიღო, ორი მცველი მოიშორა, დარტყმით კი ტრიბუნისკენ დაარტყა. ერთხელაც გვარამაძემ აჯობა სტუმრებს



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ალექსანდრე იაშვილს მატჩის ერთადერთი გოლი გააქვს

და მატჩიც დამთავრდა. თუმცა, მანამდე ალექსიძემ ააცილა ახლოდან, როცა მისივე პასს იაშვილმა ვერ მიუსწრო, ბურთი კი ისევ ალექსიძეს მიუგორდა...

მოკლედ, რუსებმა, თუნდაც შესუსტებული შემადგენლობით, მაინც ღირსეული სპარინგობა გაუწიეს ჩვენს ნაკრებს. მატჩიც საინტერესოდ წარიმართა, გუცაევმა რამდენიმე ახალი ფეხბურთელი საქმეში იხილა, ტაქტიკური ვარიანტებიც ბლომად გამოიყენა და იტალიელებთან მატჩამდე კარგი განწყობა შეიქნა. ვნახოთ, 10 სექტემბრამდე ბევრი აღარ დარჩა.

**კობა ინასარიძე**

**პრესკონფერენცია**

ჟურნალისტებთან გასასაუბრებლად ორივე გუნდის თავკაცი მსწრაფლ გამოცხადდა, ოღონდ ის იყო ცუდი, რომ ყველანი გასახდელებთან მდებარე აშმორებულ მცირე დარბაზში შეგვრეკეს, რომელიც სიკვდილმისჯილთა საკანს უფრო წააგავს, ვიდრე საპრესკონფერენციო დარბაზს. იქაურმა „სურნელმა“ ყველა ერთნაირად შეაწუხა. ალბათ მავანთ დიდი დარბაზის საპრესკონფერენციოდ გაწყობა-გამართვა დაეზარათ.

ტრადიციულად, პირველი სიტყვა სტუმარს, ვლადიმერ პახომოვს მიეცა. მინიმალური ანგარიშით წაგებას რუსი, ეტყობოდა, დიდად არც გაენაწყენებინა...

— ჩვენი მიზანია, ეს პატარა ბიჭები ახალი ციკლისთვის მოვამზადოთ და გუნდს ჩამოყალიბებული სახე მივცეთ, ამიტომ დღევანდელი თამაში მაქსიმალურად გამოვიყენეთ ფეხბურთელთა გასასინჯად. ჩემი მოთამაშეებით ძალზე კმაყოფილი ვარ, ეგაა, თავდამსხმელებს ვემდური — მათ ჰქონდათ მომენტები და ერთი მაინც უნდა გამოეყენებინათ.

მერე პახომოვმა დაიწყო მადლობების ჩამორიგება, ახსენა ჩინებული ორგანიზაცია, არ დაიშურა ქათინაურები საქართველოს ნაკრებისა და ფეხბურთის მიმართ და, ცხადია, ნოსტალგიაც ახსენა.

ქათინაურები არც ვლადიმერ გუცაევს დაუკლია რუსული ფეხბურთის გამოსარჩევად. მერე კი ჩვენი გუნდის ავანჩავანზე გვესაუბრა...

— კარგია, რომ მოვიგეთ. ეს თამაში ორიოდ კვირაში ყველას დაავიწყდება, მაგრამ დარჩება შედეგი და ისტორიაში ასე შევა: საქართველომ მოუგო რუსეთს.

ჩვენ გვსურდა, ეს თამაში იტალიისწინა რეპეტიციად გამოგვეყენებინა, მაგრამ რიგ მიზეზთა გამო 11 ფეხბურთელი გვაკლდა. ზოგი ტრავმირებულია, ზოგისა კი მხოლოდ შვიდჯერ გამოძახების უფლება გვაქვს და თავი შევიკავეთ. სამაგიეროდ, ჯერ საქმეში უნახავები გამოვცადეთ. მთლიანობაში ჩვენების თამაშს დადებითად შევაფასებ, ზოგიერთმა თავიც მომაწონა, ზოგისგან კი მეტს ველოდი.

**— რატომ არ იწვევთ დინამოელ გურჩუას და „პოლონელ“ გაბედავას?**

— მე ადრეც მისაუბრია მათზე. მათ არც ნაკრები უყვართ და არც ფეხბურთი. ეგენი ვერც თავიანთ კლუბებს გამოადგებიან. გამოვიძახე ნაკრებში, მაშინ ბათუმში ცსკა გვყავდა მეტოქედ და გურჩუაც და გაბედავაც შეკრებაზე მხოლოდ ბუცებით გამოცხადდნენ. ესენი პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ და ასეთი დამოკიდებულებით შორს ვერ წავლენ.

**— ჯიქია და ზირაქიშვილი?**

— ჯიქიას შესაძლებლობები კარგად ვიცით. პოლონეთში სათადარიგოდაც გვყავდა, ამიტომ მისი მოწვევა მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ. ზირაქიშვილი თავდამსხმელი გახლავთ და ამ ამპლუაში მასზე უფრო ძლიერი ფეხბურთელი გვეგულება — იაშვილი, ჩალაძე, აშვეთია...

ამასობაში პახომოვმა, მეჩქარება და თუ არ დამაყოვნებთ, წავალო. კალთები არ დაგვიხევია. თამაში მოგებული გვქონდა, კაცს ნაკრები ახლახანლა, თბილისში გამომგზავრებამდე, შეუკრებია, თავისი მოთამაშეების გვარებიც კი არ იცოდა ხეირიანად, თანაც ჩვენდამი კეთილგანწყობილიც იყო და შესაკითხიც ბევრი არაფერი გვქონდა. სტუმარი გავუშვით, არც გუცაევი დაგვიბრკოლებია. მწვრთნელს ნათლად ჩამოუყალიბებია თავისი კონცეფცია, მისი აღებული გეზი ჯერჯერობით ამართლებს და აკი ჩვენს ახალგაზრდულს პროგრესი ნათლად ეტყობა. ამიტომ გუცაევთან საუბარი იტალიელებთან თამაშის მერე გადავდეთ.

**მამუკა კვანტალიანი**

# 2 ტური

[illegible]

**ჟურნალისტთა დაფრენა**

„მშევარდენის“ სტადიონზე „მარკინალ“ — „მერანის“ თამაშისას ფედერაციის თანამშრომელმა თემურ ფანიაშვილმა ფოტორეპორტიორები მავთულხლართს გარეთ მიაბრძანა. ფედერაციამ ჩემპიონატში წესრიგის დამყარება ჟურნალისტთა გარეკვით დაიწყო.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

**სიონი 2:2 კოლხეთი**

სკანდალი

სტუმრები მეორედ რომ დაწინაურდნენ, „სიონმა“ იძალა, ტრაპაიძის დარტყმა ძელიდან კარის ხაზს დაეცა და სტუმართა მცველმა მოიგერია. მასპინძლებმა გოლის ჩათვლა ითხოვეს, გვერდით მსაჯს, მანამდე თამაშგარეც რომ დაეფიქსირებინა, ქვების სეტყვა დაუშინეს. თამაში 20 წუთით შეწყდა, საბოლოოდ მაინც ფრედ დასრულდა. ანგარიში პენალტით „სიონის“ მეკარე ჩლაიძემ გაათანაბრა.

მოულოდნელობა

**მაღაროელი 1:0 ბათუმი**

დებიუტანტი ზედ ჩემპიონატის სტარტზე შეიკრიბა და პირველი გასვლითი მატჩი „ოდიშთან“ დიდი ანგარიშითაც წააგო. ჭიათურელებმა „ბათუმთან“ ყურები არ ჩამოყარეს და კიდეც იხეირეს. მათი მოგება მოულოდნელი იმითაც იყო, რომ სტუმრებს ერევნის მატჩი ელით, რომელშიც ახლა უსიკვდილოდ უნდა მოიგონ, თანაც 4:0.

**ალექსანდრე იაშვილი**

გმირი



ალექსანდრე იაშვილს გოლები ძველებურადვე გააქვს. ჩემპიონატის პირველი ჰეთ-თრიქიც მის ანგარიშზეა — 38 წუთში. იაშკამ ამით ის გააკეთა, რაც აქამდე არავის შეძლებია. ერთი კლუბის შემადგენლობაში მან ყველაზე მეტი 83 გოლი გაიტანა. იაშვილს დიდი შანსი აქვს მალე შეეიდეს ჩემპიონატის 100-იანთა კლუბში.

ანტიგმირი

**მალხაზ მახარაძე**



ამ ნომინაციას ორი პრეტენდენტი ჰყავდა: „ბათუმის“ ლიბერო კაპიტანი მალხაზ მახარაძე და მისივე თანაგუნდელი მეკარე ნიკა ტოგონიძე. მახარაძის მიერ უკან დაბრუნებულ ბურთს მეკარემ ფეხი ააცილა და მატჩის ერთადერთი გოლი გაუშვა. რაკი ავტოგოლი მახარაძეს დაეწერა, ანტიგმირადაც ის ვცანით.

**მეორე ჯგუფი**

III ტური

იბერია — სამგურალი 5:0
მეშახტე — ჯუბა 1:2
ცხინვალი — კოდაკო 3:0
მერცხალი — იმერეთი 5:0
ასკ — იბერია 4:0
სქური — ფაზისი 2:0
აკადემია — თორი 6:4
კოლხეთი — საპოვნელა 3:0
(საპოვნელა არ გამოცხადდა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 3 | 3 | 0 | 0 | 15:6 | 9 |
| ცხინვალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10:1 | 9 |
| მერცხალი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:4 | 9 |
| ჯუბა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| ასკ | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| ივერია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| სქური | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| თორი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:6 | 4 |
| კოლხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:7 | 4 |
| კოდაკო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| სამეგრელო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:7 | 1 |
| მეშახტე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ფაზისი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:10 | 0 |
| საპოვნელა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |
| იბერია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:10 | 0 |
| იმერეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |

ბავშვთა კვება

Gerber
ახალი სიცოცხლის
უშვენიერესი დასაწყისი
ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული
ლიდერის გერბერის პატარა ქილებში
თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შემაგინა და დავარტყი

ბრონდბიუელი პეტერ მიოლერის „საუთჰემპტონში" გადასვლა რომ გავიგე, იმწამსვე გოჩა ქოქოშვილი გამახსენდა, რაკიღა დანიაში შევასწარი ქოქოს მიერ ამ მრისხანე ფორვარდის ჩაკეტვას. უმიოლეროდ „ბრონდბიუმ" ამასწინათ შინ წააგო კიევის „დინამოსთან" და ჩემპიონთა ლიგაშიც ველარ მოხვდება. ასე რომ...

პორტუგალიის ჩემპიონატი 24 აგვისტოს იწყება, მანამდე კი გოჩას „ბელენენსეშს" ამხანაგური მატჩი უნდა ეთამაშა საუდის არაბეთის ნაკრებთან. ამ და სხვა მიზეზთა გამო გოჩას ტელეფონით შევეხმიანე.



— საუდელ არაბებთან ფრედ, 1:1 ვითამაშეთ — მითხრა გოჩამ, — ოღონდ მე მხოლოდ თხუთმეტი წუთი ვიყავი მოედანზე.

**— ტრავმა ხომ არ მიგიღია?**

— არა, გამაძევეს... 1:0-ს ვიგებდით და მწვრთნელმა შეცვლაზე შემიშვა. პატარა გავირბინ-გამოვირბინე, რამდენჯერმე ორთაბრძოლაში შევედი და ერთ მომენტში არაბ ნახევარმცველს ისე კოხტად და სუფთად ავართვი ბურთი, თავად გამიკვირდა. დავამუშავე და ნახევარმცველებს გავატანე. მოკლედ, ამაყად რომ მოვბრუნდი, ეს არაბი დედას არ მაგინებს?! მივედი და ვეკითხები, ვის აგინებ-მეთქი? რა თქმა უნდა, შენ გაგინებო და კიდევ გამიმეორა. ეს რომ პრინციპული შეხვედრა ყოფილიყო, რა თქმა უნდა, ბოღმას გულში ჩავიკლავდი, მაგრამ ამხანაგური თამაში იყო, თანაც ტურის პირველ მატჩს „ბრაგასთან" შინ მაინც ვტოვებ. ჰოდა, არც ვაციე, არც ვაცხელე და ისეთი ვხიე ყბაში, უგონოდ დაეცა. მსაჯი კაცურად მოიქცა, გინების ხმა გაუგია და მეც ამინთო წითელი და სანამ ის არაბი გონზე მოვიდოდა, ისიც ჩემს გზას გამოუყენა. მოკლედ, თხუთმეტი წუთი დავყავი მოედანზე. ცოტა ხანში ანგარიშიც გაგვითანაბრეს...

**— დაგიღალატებია გუნდი...**

— რა თქმა უნდა, მაგრამ ვიმეორებ, ეს რომ კალენდარული მატჩი ყოფილიყო, ანაც ევროთასების, რა თქმა უნდა, როგორმე მოვითმენდი.

**— თქვენმა მწვრთნელმა მლადენოვმა რა გითხრა?**

— რამ გადაგრიაო, მკითხა. როცა მიზეზი ავუხსენი, გამხიარულდა — გიცნობთ ქართველებს, მაგრამ მაინც ჯობდა, თავი შეგეკავებინაო. ყოველ შემთხვევაში, პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, რომ მსგავსი აღარ განმეორდება. ისე, მლადენოვმა მითხრა, ჩემს ახალგაზრდობაში მეც ასეთი ფიცხი ვიყავი და დედის გინება ჯერ არავისთვის შემირჩენიაო... მოკლედ, უცებ შევრიგდით. ის კი არა, ერთი დღით წადი, დაისვენეო, მითხრა. მეც ლისაბონიდან ჩემს წინა ქალაქში, ფაროში ჩამოვედი და მეგობრებთან ერთად დავისვენე. ხვალ დილას ვარჯიში გვაქვს. არ დააგვიანოო, მლადენოვმა მთხოვა...

**— ზემოთ ახსენე, პირველი მატჩს „ბრაგასთან" მაინც არ ვთამაშობო...**

— წინა ჩემპიონატში, რომელიც „ოლიანენსეში" გავატარე, რამდენიმე ყვითელი ბარათი მივიღე. ერთი — სწორედ ბოლო ტურში, რომელიც ზედიზედ მესამე აღმოჩნდა და ერთი თამაშის გამოტოვება მომიწევს. პორტუგალიაში ასეა — ნებისმიერი ლიგიდან გადმოგყვება ბარათები. ასე რომ, პორტუგალიის ჩემპიონატში მხოლოდ 31 აგვისტოს ჩავერთვები: პორტუში გასული წლის ჩემპიონ „პორტუს" ვხვდებით...

**— რა ადგილზე გათამაშებს მლადენოვი?**

— რამდენიმე ამხანაგური მატჩი მარცხენა მცველად მათამაშა, სადაც ფრთის კონტროლი მევალებოდა, კაცსაც უნდა ჩავყოლოდი და შეტევაშიც უნდა ჩავრთულიყავი, მაგრამ ცენტრიდან გაგვივიდა რამდენიმე გოლი და მლადენოვმა წინა ცენტრალურ მცველად დამაყენა.

**— შედეგი?**

— ამ ამპლუაში ვითამაშე მაროკოს ნაკრებთან და 3:0 მოვიგეთ. მატჩის ბოლოს მარცხენა ფეხზე საზარდული ოდნავ გამეჭიმა და შეცვლა ვითხოვე. მერე ჩვენს კარგად ნაცნობ „ბოავიშტასთან" 1:1 ვითამაშეთ, მაგრამ მე ექიმთან დავდიოდი და გამოვტოვე ეს მატჩი. „ბოავიშტა" ველარ ვიცანი, სულ გაახალგაზრდავდა. ვინც კი ფეხბურთს თამაშობდა — გომეში, ჯიმი, სანჩესი და კიდევ ერთ-ორი კაცი, გაუყიდიათ და პატარა ბიჭებს ცდიდნენ. „ბენფიკას" ახალგაზრდულ შემადგენლობას კი 0:0 ვეთამაშეთ...

**— საუდელ არაბებთან შეცვლაზე რატომ შეგიყვანეს, ტრავმა გაგიმიზეზდა თუ ძირითადში ვერ ხვდები?**

— არა, კარგა ხანია, მლადენოვმა მითხრა, ძირითადის კაცი ხარ და შენი იმედი მაქვსო. მლადენოვი საოცრად მეგობრულად არის, იმ ფეხბურთელებთან, ვისაც ენდობა, ამიტომაც იყო, მატჩის მერე კარგა ხანს რომ მესაუბრა. ჩემი შეცვლაზე შეყვანა კი იმან განაპირობა, რომ პირველ მატჩს ვტოვებ „ბრაგასთან", იქ ერთი ბიჭის დაყენებას აპირებს და იმას ცდიდა. რაც შეეხება ტრავმას, კარგა ხანია, მისი კვალიც კი გაქრა — სამედიცინო სამსახური პორტუგალიაში საკმაოდ კარგად მუშაობს...

**— ბარათებს რატომ მოუხშირე?**

— ეს იმდენად ჩემი ბრალი არ არის, რამდენადაც პორტუგალიური სათამაშო სტილისა. აქ საოცრად უხეში მცველები არიან, სულ ფეხზე მუშაობენ. მე ჩემებურად ვცდილობ ბურთისართმევას, მაგრამ როცა მეტოქე უხეშად გეთამაშება, შენც იძულებული ხარ, ერთი-ორჯერ კოჭებში მოსდო.

**— რა ნომერი ხარ?**

— მეხუთე ნომერი და მთელ სეზონს ასე ვითამაშებ...

**— წელს რა გეგმები გაქვთ?**

— მლადენოვმა მითხრა, წელს მთავარია გუნდი შევათამაშო, რათა მომდევნო სეზონიდან მაღალი სიმაღლეებს შევუტიოთო. გუნდი ძალზე შეიცვალა, მლადენოვმა თავისი შეხედულებისამებრ ახლად დააკომპლექტა და ჯერ, ალბათ, მაღალი მიზნებისთვის ვერ ვიბრძოლებთ...

**— კონტრაქტით თუ ხარ კმაყოფილი?**

— ორწლიანი კონტრაქტი მაქვს, საკმაოდ კარგ პირობებშიც ვცხოვრობ, მაგრამ ხომ იცი — კაცს მაინც მეტი გინდა. თანაც, როცა ხედავ, რომ ამის საშუალებაც არის და ძალაც შეგწევს... ერთი სიტყვით, მლადენოვს ვესაუბრე და, ალბათ, გადავხედავთ ჩემს კონტრაქტს, რათა უფრო გავაუმჯობესოთ...

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— ახლა აღარ მაქვს თავისუფალი დრო, ადრე კი ესპანეთში გადავიდოდი ხოლმე. ჰო, ესპანეთზე გამახსენდა: „ბარსელონა" — „სკონტოს" ვუყურე და გავოცდი რიგელთა თამაშით. გული სიამაყით მევსებოდა, როცა ქართველ ბიჭებს აჩვენებდნენ. თანაგუნდელებს ამაყად ვეუბნებოდი, ნახეთ, რა შეგვძლებია ქართველებს-მეთქი. მაგრამ რად გინდა, „დინამომ" ყველაფერს ხაზი გადაუსვა...

**მამუკა ქვარაცხელია**



აფრიკაში აღარავინ ნერვიულობს, იქ ყველაფერი იციან. გაისად, საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე, შავი კონტინენტიდან წამსვლელთა ვინაობა გარკვეულია: ნიგერია, მაროკო, ტუნისი, კამერუნი და სამხრეთ აფრიკა. ამ ჩამონათვალს თვალს ერთხელაც თუ გადავავლებთ, დავინახავთ, რომ მათგან მსოფლიო ფეხბურთის უდიდეს შეჯიბრებაზე ნამყოფია ყველა, სამხრეთ აფრიკის გარდა. მაშ, საფრანგეთში, ბაფანა-ბაფანას დებიუტი შედგება.

# ბაფანა საფრანგეთში მიფრინავს

სამხრეთაფრიკელთა ნიჭი და უნარი მათ კონტინენტზე საყოველთაოდაა აღიარებული. ანკი ამას რა დიდი მკითხაობა სჭირდება, საკმარისია დავთარში ჩავიხედოთ და ამოვიკითხოთ: სამხრეთ აფრიკა 1996 წლის აფრიკის ჩემპიონია. დიახ, ქვეყანა, რომელიც პოლიტიკის გამო საერთაშორისო ასპარეზს 30 წლის განმავლობაში ძალით იყო ჩამოშორებული, აპარტეიდის დამხობის შემდეგ კვლავ ხელ-ფეხ გახსნილია და იგი წარმატებებს აღწევს. სამხრეთელებმა კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს აგერ, მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებაც დაამატეს. ეს მიღწევები შესაძლოა იმითაცაა განპირობებული, რომ თუმც ქვეყანა სხვათაგან მოკვეთილი და საკუთარ თავთან ჩაკეტილი გახლდათ, მასში პროფესიული ფეხბურთი არასდროს მომკვდარა.

და აი, გასულ შაბათს, ფილ მასინგას გოლით დამარცხებულმა კონგოს ნაკრებმა აფრიკელებს პირველმა მოულოცა საფრანგეთის საგზური. იტალიური „ბარის" მოთამაშემ თავისი მეცამეტე საერთაშორისო გოლით თანამემამულეებს უდიდესი სიხარული მიანიჭა. ეს იყო სამხრეთაფრიკელთა აპარტეიდისშემდგომი ეპოქის 52-ე თამაში.

— დღეს ყველა სამხრეთაფრიკელისთვის უბედნიერესი დღეა — განაცხადა გამარჯვებულმა მწვრთნელმა კლაივ ბარკერმა — ჩვენ ამ შეხვედრას ვუძღვნით ყველა იმ ძველ მოთამაშეს, რომელსაც საერთაშორისო ფეხბურთში მონაწილეობის ნება არ დართეს.

კონგოელებთან მატჩმა არნახული ინტერესი გამოიწვია. 75 ათასიან „სოკერ სიტიზე" 90 ათასი მაყურებელი მივიდა, ღამით კი მთელი ქვეყანა დღესასწაულმა მოიცვა. განმეორდა ის, რაც რაგბის ნაკრების მსოფლიოს თასზე გამარჯვების შემდეგ იყო, ორი წლის წინ.

— ძალიან ლამაზი მატჩი გაიმართა. ჩვენ სულაც ვერ ვითამაშეთ კარგად, მაგრამ მთავარს მივაღწიეთ — თქვა სამხრეთაფრიკელთა კაპიტანმა, ინგლისური „ლიდს იუნაიტედის" წევრმა ლუკას რადებემ.

რა გუნდია ბაფანა-ბაფანა? ესაა გუნდი, რომელიც ადგილობრივმა მწვრთნელმა, ზემოხსენებულმა კლაივ ბარკერმა ძლიერი ინდივიდუალისტებისგან შეკრა. თავად ბარკერი სამოციან წლებში „დურბან იუნაიტედის" ფეხბურთელი იყო. მის მიერ შემოკრებილი მოთამაშეები თავიდან ფინტებითა და ტრიუკებით უფრო გამოირჩეოდნენ, ვიდრე ლოგიკური, გოლით დასრულებული კომბინაციებით, მაგრამ თანდათან ნაკრებმა სახე იცვალა. ჯერ ერთი, ფეხბურთელები ევროპულ გუნდებში გაიკრიფნენ და იქ ოსტატობის სხვა დონეს მიაღწიეს. მეორეც, თავად ბაფანამაც დახვეწა თამაშის სტილი. დღეისათვის სამხრეთაფრიკელებს ბოლო 31 მატჩში მხოლოდ სამი მარცხი აქვთ ნაწვნევი, რაც უთუოდ მრავლის მეტყველი ფაქტია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ გოლუხვობით მაინც ვერ გამოირჩევიან.

ახლა კი სამხრეთ აფრიკის ნაკრების იმ შემადგენლობას გავეცნოთ, კონგოელებთან შეხვედრაში ისტორიულ წარმატებას რომ მიაღწია.

*ანდრე არენდსე:* ინგლისური „ფულემის" მეკარე, 29 წლის. ადრე „კეიპტაუნ სპურზში" გამოდიოდა. აპრილში, კონგოსთან პირველ შეხვედრაში, ორი გოლი გაუშვა, თორემ სარეკორდო, 693 უგოლო წუთს, ვინ იცის, რამდენს დაამატებდა. 1995 წელს გახდა სამხრეთ აფრიკის ჩემპიონი და თასის მფლობელი.

*სიზვე მოტაუნვი:* 27 წლის, ესპანური „ტენერიფეს" მცველი. „ტენერიფეში" გასულ იანვარს შვეიცარიული „სენტ გალენიდან" გადავიდა და „შალკეს" წინააღმდეგ, უეფას თასის მეორე ნახევარფინალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. სამხრეთ აფრიკის ნაკრების შესარჩევი მატჩებიდან ერთიც არ გამოუტოვებია.

*მარკ ფიში:* 24 წლის, იტალიური „ლაციოს" მცველი. მასსავით ახალგაზრდას ბაფანა-ბაფანაში დებიუტი არავის ჰქონია. ეს 1993 წელს, მექსიკის ნაკრების წინააღმდეგ მოხდა. აფრიკის თასზე წარმატებულმა ასპარეზობამ მას „ორლანდო პაირატსიდან" რომში 1,2 მილიონ გირვანქიანი ტრანსფერი გაუხერხა.

*ლუკას რადებე:* ინგლისური „ლიდსის" 28 წლის მცველი. სამხრეთ აფრიკის ნაკრების კაპიტნის სამკლაური ნილ ტოვეისგან ჩაიბარა. ერთიხანობა ტრავმამ გააწამა, მაგრამ კლაივ ბარკერის ნდობა ურყევი აღმოჩნდა. მწვრთნელი რადებეს გუნდის საუკეთესო ფეხბურთელს უწოდებს. თავიდან მეკარე იყო და ამ ამპლუაში ნაკრებშიც კი უთამაშია.

*ნილ ტოვეი:* თამაშობს სამშობლოში, „კაიზერ ჩიფსში". 34 წლისაა. ყველაზე მეტი მატჩი აქვს ნათამაშები ნაკრებშიც, ჩემპიონატზეც და თასის გათამაშებაშიც. რაც წლები ემატება, უკეთ თამაშობს.

*ერიკ თინქლერი:* 26 წლის ნახევარმცველი. იტალიური „კალიარიდან" ინგლისურ „ბარნსლიში" გადავიდა. თავიდან პორტუგალიის „სეტუბალში" გამოდიოდა. სამხრეთ აფრიკიდან პორტუგალიაში რომ წავიდა, ოცი წლისაც არ იყო. ახლა ორივე ქვეყნის მოქალაქეა.

*დოქტორ ხუმალო:* 29 წლის. ნახევარმცველი. თამაშობს აშშ-ის „კოლამბას ქრუში". ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, საოცრად ტექნიკური ფეხბურთელია, კარიერის უმეტესი ნაწილი „კაიზერ ჩიფსში" აქვს გატარებული.

*ჰელმან მხალელე:* 27 წლის ნახევარმცველი „ორლანდო პაირატსიდან" თურქულ „გაზიანთეფსფორში" გადავიდა. სწრაფი გარემარბი, კარში ძლიერად არტყამს. 1995 წელს გახდა აფრიკის ჩემპიონთა თასის მფლობელი.

*შონ ბარტლეტი:* 24 წლის ფორვარდი. აშშ-ის „კოლორადო რეპიდსში" გამოდის. გასულ სეზონში „პსვ ეინდჰოვენმა" დაიწუნა.

*ფილ მასინგა:* 27 წლის თავდამსხმელი იტალიას არ შორდება, „სალერ-



ჯონ მოშეუ პარიზს მიემგზავრება

ნიტანადან" „ბარიში" გადავიდა. სამხრეთ აფრიკის უმთავრესი ბომბარდირია. ერთი ხნის წინ გულშემატკივრებმა აითვალწუნეს და იგიც ნაკრებში აღარ გამოდიოდა, მაგრამ ბოლოს დაბრუნდა. ადრე თამაშობდა ინგლისურ „ლიდს იუნაიტედში" და შვეიცარიულ „სენტ გალენში"

კონგოსთან შეხვედრაში იყვნენ შემცვლელებიც.

*ჯონ მოტეთ:* „ორლანდო პაირატსის" 29 წლის ნახევარმცველი მოედანზე მხალელეს ნაცვლად, 56-ე წუთზე შევიდა. ის, ხშირად, სწორედ შეცვლაზე შედის ხოლმე. დაბალია, მაგრამ მკვრივი. არის აფრიკის ჩემპიონი, კონტინენტის ჩემპიონთა და სუპერთასის მფლობელი.

*ბერნარ აუგუსტინი:* 25 წლის, ავსტრიული „ლინცერის" ფორვარდი. კონგოსთან მასინგას ნაცვლად 75-ე წუთზე შევიდა. შარშან, აფრიკის პირველობაზე არ წაიყვანეს, რადგან ჩემპიონატისწინა შეკრება გააცდინა და ავსტრიაში წავიდა. დაულალავი ფეხბურთელია.

*მარკ უილიამსი:* მე-60 წუთზე ბარტლეტი შეცვალა.

თუ დააკვირდით, სამხრეთაფრიკელთა ძირითადი შემადგენლობიდან ათი მოთამაშე გვყავს წარმოდგენილი. მეთერთმეტეა ნახევარმცველი *ჯონ მოშეუ*, 31 წლის, „ბელქპულში", „კაიზერ ჩიფზსა" და თურქულ „გენჩლერბირლიგიში" ნათამაშევი. აფრიკის ჩემპიონი და თურქეთის თასის წლევანდელი მფლობელი, „კოჯაელისფორის" მოთამაშე. იგი ცალკე აღნიშვნის ღირსია, რადგან ნიჭიერ ფეხბურთელად მიჩნეული თანამემამულის მსგავსად არც ისე სახელგანთქმულ გუნდში თამაშობს.

მას „შუზი" (ფეხსაცმელი) იმიტომ შეარქვეს, რომ მეტოქეებსა და ქომაგებს ფინტებით თავბრუს ახვევს. მისი ქუჩური ტექნიკა საერთაშორისო დონეზეც ერთობ გამოსადეგი აღმოჩნდა. მისი მოქნილობის თვალსაჩინო მაგალითი მაისში საკუთარი თვალით მანჩესტერელებმა იხილეს, როდესაც „ოლდ ტრეფორდზე" გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მოშეუმ ინგლისის კარში მაკრატლით გოლი გაიტანა. მან, იმ ეპიზოდში მასინგას მიერ შექმნილი ნახევარმომენტი გოლად აქცია. თვალსასეირო გოლების შექმნა და გატანა მოშეუს კარიერის ლაიტმოტივია. მან აფრიკის თასზეც გამოავლინა თავისი ნიჭი, ჯგუფურ ტურნირშიც შეყარა მნიშვნელოვანი გოლები და მეოთხედფინალ-ნახევარფინალშიც.

იგი თურქეთშიც ბრწყინავს. გასულ სეზონში „კოჯაელისფორმა" „ტრაბზონსფორს" თასი სწორედ მისი გოლის წყალობით აართვა და თასების მფლობელთა თასისკენ გაიკვლია გზა.

სოუეტოში, იოჰანესბურგის ამ ზანგურ დასახლებაში დაბადებულმა ქუჩის ფეხბურთელმა პროფესიულ ფეხბურთში იოლად ვერ გაიკაფა გზა. თავიდან „კაიზერ ჩიფზის" ახალგაზრდულ გუნდში მოხვდა, მაგრამ შემდეგ თავისი უბნის „ბლექპულში" გადავიდა, გუნდი ზედა ლიგაში ორჯერ აიყვანა, მაგრამ ფეხი მოიტეხა და ფეხბურთს მიღმა დარჩა. მის ბედად, 1992 წლის დეკემბერში, ბაფანა-ბაფანას მწვრთნელად პერუელი ავგუსტო პალასიოსი დანიშნეს და მისი დაჟინებით მოშეუმ მოედანზე ოფლისღვრა განაგრძო, რასაც ნაკრებში დებიუტი და ბოტსვანასთან ამხანაგურ შეხვედრაში გატანილი გოლი მოჰყვა. მას მერე იგი სულ ბაფანაშია, მიუხედავად იმისა, რომ 1994 წელს გუნდი ახალმა თავკაცმა კლაივ ბარკერმა ჩაიბარა.

შემდეგ მოშეუმ დაიმკვიდრა ადგილი „კაიზერ ჩიფზში", საიდანაც თურქეთის დედაქალაქის „გენჩლერბირლიგიში" ამოჰყო თავი. ორ სეზონში ანკარელებმა ინტერტოტოს თასზე გაალწიეს, რასაც 650 ათას გირვანქად „კოჯაელისფორში" გადასვლა მოჰყვა.

„კოჯაელისფორი" დღეს ჯონ მოშეუს გუნდია, ბოლო გუნდი ევროპაში. შემდეგ ივი შინ დაბრუნდება. შინ კი მისნაირ გონიერ კაცს ჩინებული კარიერის გაგრძელება არ გაუჭირდება.

**პაპუნა ქედია**

# როცა ანგარიშს კაბინეტებში ადგენენ

როცა ნათელი გახდა, რომ „სტიაუა" ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე პსჟ-ს დაუპირისპირდა, ბევრმა ამ წყვილის ფავორიტად და შესაბამისად ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილად ფრანგები შერაცხა. პირველი თამაშის შედეგსაც — წაგება ბუქარესტში 2:3 — თითქოს ძლიერ არ უნდა შეეშფოთებინა ფრანგები, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებიდან რამდენიმე დღეში მათ უეფასგან თავზარდამცემი ფაქსი მიიღეს — დისკვალიფიცირებული ლორან ფურნიეს მატჩში მონაწილეობის გამო შეხვედრის შედეგი გაუქმდა და, რაც ყველაზე უფრო საწყენია, 0:3-ად გადაკეთდა. შოკირებული ფრანგები აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი თავიანთი უყურადღებობის შედეგი იყო. იმ შეხვედრაში ფურნიეს არ უნდა ეთამაშა, რადგან გასულ სეზონში, თასების თასის ფინალში მორიგი ყვითელი ბარათი მიიღო და ევროტურნირების შემდეგი შეხვედრის გამოტოვება მიესაჯა. ეს ბუქარესტული მატჩი იყო.

იმ დღესვე, ორშაბათს, როცა პარიზელთა დასჯის ამბავი მთელ ევროპას მოედო, ბუქარესტში, „სტიაუას" შტაბ-ბინაში შეკრებილ კლუბის თანამშრომელთა განწყობა, ცხადია, საზეიმო იყო. რუმინელებს საპასუხო მატჩის შიში ჰქონდათ, უეფას გადაწყვეტილებამ კი ვითარება სრულიად შეცვალა. არა, მათ საჯაროდ არ გამოუხატავთ სიხარული, მაგრამ კლუბის პრეზიდენტის, მარსელ პუშკაშის განცხადებაში — ფრანგებთან სათამაშოდ ძველებურადვე მოვემზადებითო, აშკარად ჩანდა წარმატების მიღწევის დიდი იმედი. ჩემპიონთა თასის 1986 წლის მფლობელი გუნდის ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა, ისე როგორც ნამდვილ პროფესიონალებს შეჰფეროდათ, არ დაიწყეს წინასწარ ბაქიაობა. პირიქით, „სტიაუას" მწვრთნელმა მიხაი სტოიჩიტამ თქვა, საპასუხო მატჩისადმი ახლა უფრო სერიოზულად მოვემზადებითო. „3:2-ს გაცილებით სჯობს 3:0, მაგრამ ეს მაშინაა კარგი, როცა თვითონ მოიგებ ასე და არა უეფას დახმარებით. სამბურთიან უპირატესობაში ჩვენი და პსჟ-ს დღევანდელი ძალის შეფარდება ნათლად არ აისახება. უეფას კაბინეტებში მიღებული გადაწყვეტილებით ახლა პარიზს სამბურთიანი უპარატესობით მივდივართ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი განწყობა იოტისოდენადაც არ შეცვლილა. პირიქით, იმას რომ გავიფიქრებ, ფრანგებს ოთხი ბურთით მოგება, მინიმუმ კი 3:0 სჭირდებათ, ტანში ჟრუანტელი მივლის" — განაცხადა სტოიჩიტამ. მან თუ ასე გააგრძელა, არაა გამორიცხული, შიში მოთამაშეებსაც გადაედოს და მეტოქის წისქვილზე დაასხას წყალი. ისე, გუნდის კაპიტანი მარიუს ლაკატუში უკვე მოექცა მწვრთნელის გავლენის ქვეშ. იგი საპასუხო მატჩში მეორე გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს და იმის ნაცვლად, რომ თანაგუნდელები ბრძოლისთვის განაწყოს, გაიძახის — არ ჯობდა, 3:2 ყოფილიყო, ფრანგები უფრო მოშვებულნი იქნებოდნენო.



წლევანდელი 14 მაისი. თასების თასის ფინალი. სწორედ ის მატჩი, რომელშიც ლორან ფურნიემ საბედისწერო გაფრთხილება მიიღო

სანამ რუმინელები გაურკვევლობაში არიან, ფრანგებმა მათთვის ძლიერ არასასიამოვნო მოვლენის გამო სახელდახელო პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც პსჟ-ს მთელი ხელმძღვანელობა დაესწრო. მათ-თავის მართლება არ დაუწყიათ — რაც მოხდა, მოხდა, დამნაშავენი თვითონ ჩვენ ვართ. ფლორიან მორისის დისკვალიფიკაციაზე ისე გავამახვილეთ ყურადღება, ფურნიე სულ გადაგვავიწყდაო — განაცხადა პსჟ-ს თავმჯდომარემ კლოდ ლე როიმ: „ერთ დისკვალიფიკაციას მეორე შევწირეთ. ცოტა დაუჯერებელი კია, მაგრამ ისეთ კლუბში, როგორიც ჩვენია, ასეთი საწყენი კურიოზებიც ხდება. მართალია, საპასუხო მატჩის წინ არც ისე დიდი შანსები გვაქვს, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი მომხდარა. ჩვენც იმედს არ ვკარგავთ." ლე როი რომ მორჩა, პსჟ-ს ბრაზილიელმა მწვრთნელმა რიკარდომაც ამოღერღა ერთიორი სიტყვა. მანაც თითქმის ლე როის დარად ილაპარაკა, ოდნავ მოკლედ, ბოლოს კი ივაჟკაცა და რაც მოხდა, თავის თავზე აიღო.

ეს ითქვა სამშაბათს, გუშინ კი... „პარი სენ ჟერმენის" პრეზიდენტმა მიშელ დენიზომ განაცხადა, უეფაში აპელაციას შევიტანო. სიტყვა და საქმე ერთი გამოდგა. დენიზოსვე თქმით, პარასკევს უეფამ საგანგებო სხდომა დანიშნა, რომელზეც ეს ამბავი გაირჩევა. სხდომას ფრანგთა გენერალური დირექტორი ჟან-ფრანსუა დომერჟი და კლუბის ოფიციალური წარმომადგენელი პატრისია მერსენი დაესწრებიან.

სანამ ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წარმომადგენლები სადაო საკითხს გაარჩევენ, ხმები გავრცელდა — „სენ ჟერმენმა", თუ ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, შესაძლოა, მძლავრი სპონსორი და მფლობელი, ქვეყნის ერთ-ერთი სატელევიზიო არხი „კანალ +" დაკარგოს. ეს კომპანია უცნობი მიზეზების გამო გუნდის გაყიდვას უკვე თებერვალში აპირებდა ლონდონის სააქციო ბირჟაზე. ასე რომ, ჭორები საფუძველმოკლებული სულაც არაა. იმასაც ამბობენ, თუ „სტიაუას" სასურველი ანგარიშით ვერ მოუგეს, რიკარდო ალბათ თანამდებობას დაკარგავსო.

ამასობაში ცნობილმა ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" გაავრცელა ცნობა, რომ „პარი სენ ჟერმენი" ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრით დაახლოებით 12 მილიონ დოლარს იზარალებს.

## ჰოლანდია

# აიაქსი იწყებს. ცხადია, შოთაც

სამშაბათს ახალი ჰოლანდიური სეზონი გაიხსნა და გასულ ჩემპიონატში მოულოდნელად მეოთხე ადგილზე გასულმა „აიაქსმა" „ამსტერდამ არენაზე" შეკრებილი 41 ათასი კაცის თვალწინ პირველი დიდი ანგარიშით გამარჯვება იზეიმა — 5:0 დაამარცხა „ვიტესი".

თავიანთ ნაკრებებში წასულ დანის, ლაუდრუპის, ტობიასენისა და ლიტმანენის გარეშე დარჩენილ „აიაქსს" 8 წუთი დასჭირდა სეზონის პირველი გოლის გასატანად — პოლონელმა დებიუტანტმა ანჯეი რუდიმ ბურთთან პირველივე შეხება გოლით დააგვირგვინა. 21-ე წუთზე უკვე ბაბანგიდამ იხეირა, როცა რიხარდ ვიჩხეს გრძელ გადაცემას სათანადო გაგრძელება მოუძებნა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ტაქტიკა შეცვალეს და ზონურ დაცვას კაცი-კაცზე თამაში არჩიეს, მაგრამ შედეგი უარესი მიიღეს. ტაიმის დაწყებიდან შვიდ წუთში ბაბანგიდასავით ნიგერიელმა სანდი ოლისემ 25 მეტრიდან ილბლიანად გაისროლა, კიდევ ათ წუთში კი მოედანზე სამიოდ წუთის წინ სიბონის ნაცვლად შესულმა შოთა არველაძემაც ისახელა თავი და თავისი პირველი ოფიციალური აიაქსური გოლი შეაგდო — 4:0. მოკლედ, ოთხი გოლიდან სამი გუნდის ახალწვეულების ანგარიშზეა (რუდი, ოლისე, შოთა), თუმცა, საქმე ამით არ დამთავრებულა: 85-ე წუთზე ერთ დროს „აიაქსში" და იტალიურ კლუბში მოთამაშე, ამჟამად კი „ვიტესის" [illegible] მიშელ ვონეკმა ახალ [illegible] ავტოგოლით აღნიშნა. საინტერესოა, რომ ამ მომენტამდე [illegible] წუთით ადრე [illegible] მოედანზე [illegible] — ჩეხმა მცველმა მარიან ზემანმა ტრავმა მიიღო, სამი შეცვლა კი „ვიტესს" უკვე გაკეთებული ჰქონდა.

ერთი სიტყვით, შოთას ოფიციალურ მატჩში გოლის გასატანად სამი წუთი დასჭირდა. შეიძლება ითქვას, „აიაქსის" მაისური ჩაცმული არ ჰქონდა, რომ „დაასველა".

— კარზე ვიყავი დაგეშილი, და სურინამელმა ჰოლანდიელმა დინ გორმა კარგი პასი შემომიცურა. კარს გავხედე და შორეულ კუთხეში დავაწვე...

**— მეორე ტაიმში რატომ გამოგიყვანეს?**

— არ ვიცი, ოლსენმა გადაწყვიტა ასე...

**— გამოჯანმრთელდა ოლსენი?**

— არა, ისევ ცუდადაა.

**— კალენდარი ძალზე გადატვირთული გგონიათ.**

— თავად განსაჯეთ: 9 სექტემბერს შინ „ვალვაიკს" ვხვდებით, 10 სექტემბერს ჩვენი ნაკრები იტალიასთან თამაშობს, 12 სექტემბერს კი ამსტერდამში „გრონინგენს" ვიღებთ. უკვე მითხრეს, ნაკრებში რომ წახვიდე, ორ თამაშს გამოტოვებ, მაინც ვერ გადიხართ და დარჩიო. გასაგებია, რასაც ვუპასუხებდი...

სამშაბათის კიდევ ერთ, ენსხედეს მატჩში, „ტვენტემ" ჯონ ბოსმანის ჰეთ-თრიქის წყალობით სიტარდის „ფორტუნას" 4:1 დაამარცხა, პირველი ტურის სხვა შეხვედრები კი წუხელ გაიმართა.

**მამუკა ძვარაცხელია**

# ბერლუსკონის თასი ბერლუსკონის კლუბს

გუშინწინ გადაჭედილ „სან სიროზე" კაპელოდაბრუნებულმა „მილანმა" ითამაშა. ითამაშა ზუსტად ისე, თავისი ზეობის წლებში რომ ბურთაობდა. მეტოქეც ბრწყინვალე ჰყავდა — ტურინის „იუვენტუსი". ასე რომ, მაყურებელს თითქოს რბილ სავარძელში მოკალათებისა და დიდი ფეხბურთით ტკბობის მეტი არაფერი მოუხოვებოდა, მაგრამ თამაში დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგა. სანამ უშუალოდ მატჩს შევეხებოდეთ, იმას მოგახსენებთ, რომ ეს თასი კარგა ხანია თამაშდება და ბოლო სამი წელია, ჯილდოს ერთმანეთს „მილანი" და „იუვენტუსი" ეცილებიან.

სეზონის წინ სახეშეცვლილმა გუნდებმა, რომელთაც უამრავი ახალწვეული ჰყავთ, დიდებულ „სან სიროზე" გამოჩენისთანავე საშინლად აახმაურეს ტიფოზები. პირველი სახიფათო შეტევა, უფრო სწორედ კარში დარტყმა, სტუმრებმა განახორციელეს — ზიდანის მოჭრილი საჯარიმო ტაიბის კარის ხარიხას მოხვდა. საპასუხო ცეცხლი „მილანმა" დაახლოებით მე-8 წუთზე გახსნა, თუმცა ვეას მიერ ალბერტინის საჯარიმოზე წამატებული კარისკენ კი წავიდა, მაგრამ გოლად ვერ იქცა. სახიფათო შეტევები აქ არ დასრულებულა — მილანელთაგან კლუივერტმა და ვეამ, ტურინელთაგან კი დელ პიერომ რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს, მაგრამ სანამ საქმეში უნებურად კონტე არ ჩაერია, ბურთმა კარის ბადე ვერ შეარხია, 30-ე წუთზე კი დელ პიერომ ჯარიმა დაარტყა, მილანელთა ცოცხალ კედელში ჩაკვეხებულ კონტეს ბურთი მოხვდა და ტაიბიც უძლური აღმოჩნდა. მოკლედ, პირველი ტაიმი ლიპის სასარგებლოდ დამთავრდა, მეორეს დაწყებიდან 15 წუთში კი თასის მფლობელის ვინაობა გაირკვა — კრუზმა, კლუივერტმა და ვეამ პერუცის სამი გოლი შეუგდეს და დამსწრე საზოგადოებაც ახარეს.

მშობლიურ „მილანში" ზაფხულში დაბრუნებულმა კაპელომ გუნდს პირველი თასიც მოაგებინა და გაზაფხულზე „სან სიროზე" იმავე „იუვენტუსთან" 1:6 წაგებისთვის რევანშიც აიღო. ისე კი კაპელოს „მილანის" ძლევა ახალ ჩემპიონატში ძალიან ძნელი უნდა იყოს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდი ევროტურნირებში არ ითამაშებს.

# ქულიანები და უქულოები

უეფას მიერ სასტიკად დასჯილი საფრანგეთის ბოლო სამი სეზონის სამგზის ვიცე-ჩემპიონი, მართალია, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის იმედს არ კარგავს, მაგრამ რადგან ოთხშაბათამდე თითქმის ერთი კვირაა, მანამდე ქვეყნის პირველობაზე ერთპიროვნული ლიდერის ვინაობის საკითხი აქვს გადასაჭრელი. მომავალ ტურში დედაქალაქელები ტოლსწორად მყოფ „მეცს" ხვდებიან, რომელიც ასე „უდიერად" შეიჭრა ფრანგული ფეხბურთის ლიდერებში. პსჟ-ს ბრაზილიელმა კაპიტანმა რაიმ თქვა, რუმინული შემთხვევის შემდეგ საფიქრალი ერთიორად მოგვემატა, მაგრამ დღესდღეობით თავში სულ „მეცთან" მომავალი მატჩი მიტრიალებს, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთო. კლუბის მცველმა ზოლლე გუენმა, გუნდის ცოტა არ იყოს სუსტ დაცვაზე რომ ჰკითხეს — ვიცი, რუმინეთში გაშვებულ სამ ბურთს და ჩემპიონატში არასაიმედო თამაშს გულისხმობთო, თქვა და დასძინა, „მეცთან", გარწმუნებთ, გოლს არ გავუშვებთო. პარიზელთა მეტოქის პრეზიდენტმა კარლო მოლინარიმ განაცხადა, მეტოქე ახლა შოკირებულია და თუ ლიდერობა გვინდა, ამაზე კარგ მომენტს სადღა ვიპოვითო. ამასობაში „მეცის" მწვრთნელმა ჟიულ მიულერმა დაიჩივლა, გული იმაზე მწყდება, რიგობერტ სონგო რომ ვერ დაგვეხმარებაო. სონგო კამერუნელია, უქმეებზე სამშობლოში გაემგზავრა, თანამემამულეებს მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის მოპოვებაში დაეხმარა, ოღონდ მცირე ტრავმაც მიიღო. მეოთხე ტურის ცენტრალური მატჩი უდავოდ ეს შეხვედრა იქნება, რომლის ნებისმიერი შედეგი, ოღონდ არა ფრე, ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის ვინაობას ამცნობს მთელს დუნიას.

ამ მატჩის გარდა ტურში კიდევ რვა შეხვედრა გაიმართება. ჩვენც ხუთშაბათის ანუ დღევანდელი თამაშებით დავიწყოთ.

*„კანი" — „ბორდო"*: მასპინძლებს, ცხრილის ბოლოში რომ არიან, ერთი ქულაც ძლიერ გაახარებდათ, სტუმართათვის კი გამარჯვება აუცილებელია, მით უმეტეს, წინა ტურში შინ „რენთან" ნათამაშევი 2:2-ის შემდეგ.

*„სტრასბური" — „ნანტი"*: ნანტელებს, ზემოთნახსენები „კანის" დარად, ქულა რაა, ისიც არ მოუპოვებიათ. ამის მთავარი მიზეზი არაერთი ფეხბურთელის წასვლაა, გუნდის თავკაცის ჟან-კლოდ სიუდოს თანამდებობიდან წასვლის შესახებ კი ადრეც გაუწყეთ და ამჯერად აღარ შევჩერდებით, ლიგის თასის მომგებ „სტრასბურზე" კი იმას გეტყვით, რომ გამარჯვების შემთხვევაში, რაც მეტოქის ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით არ უნდა გაუჭირდეს, კლუბი ლიდერთა ათეულში შევა.

შვიდი შეხვედრა ხვალ გაიმართება. ამათგან ერთზე თავში გიამბეთ, ახლა კი დანარჩენებზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

*„ბასტია" — „შატორუ"* შეხვედრაში ფავორიტი ვინაა, ამას საქმეში ჩახედული კაცი უმალ მიხვდება. ინტერტოტოს თასის ფინალურ წრეში შვედური „ჰალმშტადის" ძლევის მერე კორსიკელებს ახალაღზევებულთა დაჯაბნა და დაუმარცხებლად დარჩენა არ უნდა გაუჭირდეთ. აი, „შატორუ" კი, თუ მოხდა და იმარჯვა, ათეულს მიუახლოვდება და თან გამარჯვებასაც გაუსინჯავს გემოს.

*„ოსერი" — „გინგამის"* შეხვედრა, მეტოქეთა ცხრილში მეზობლობას თუ გავითვალისწინებთ, ფრედ უნდა დასრულდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. წინა ტურში სტუმრად „ნანტის" ძლევით გახარებული „ოსერი" ახლაც გამარჯვებას შეეცდება, მიუხედავად იმისა, რომ ლავიწის ტრავმის გამო ძირითადი მეკარე ლიონელ შარბონიე, ალბათ, არ ეყოლება. სტუმრები გამარჯვებისკენ კი იმან უნდა წააქეზოს, რომ მასპინძლებს პირველ ორ ტურში (მესამეში კარი მშრალად შეინახა) ექვსი გოლი გაუშვიათ.

*„მარსელი" — „რენი"*: დღესდღეობით მარსელელები ცხრილში მესამე საფეხურზე არიან. სამი საშინაო მატჩიდან მათ ორი მოიგეს და ახლაც გამარჯვების იმედი აქვთ, რადგან „რენს" ორი ტრავმირებული ფეხბურთელი არ ეყოლება.

*„ლე ავრი" — „ლიონის"* შეხვედრაში სამი ქულის აღება გია გურულის ყოფილ გუნდს არ უნდა გაუჭირდეს, მესამე ტურში „მონაკოსგან" დაჯაბნილი სტუმრები კი შეეცდებიან, სირცხვილი აღარ ჭამონ. „ლიონს" საზარდულის ტრავმის გამო წამყვანი მოთამაშე ალან კაველია არ ეყოლება.

*„მონპელიე" — „ტულუზის"* შეხვედრაზე ის შეიძლება ითქვას, რომ ეს თამაში სამხრეთ-აღმოსავლური დერბია.

*„რენი" — „მონაკო"*. ვარაუდობენ, რომ ჟან ტიგანას ბიჭებს დიდი უპირატესობა ექნებათ და ზედიზედ მეორე გამარჯვებასაც მიაღწევენ.

**ლაშა გოდუაძე**

# ეს ერთი, სხვა?..



ბრემენის „ვერდერი" ბუნდესლიგის პირველი გუნდია, რომელმაც ამ სეზონში მწვრთნელი გამოცვალა — ჰანს-იურგენ დიორნერი, ვისაც თავის დროზე გდრ-ის ნაკრებში უთამაშია და დიქსი დიორნერადაც იხსენიებოდა, პირველ სამ ტურში მოპოვებული მხოლოდ ორი ქულისთვის გაუშვეს. მისი დათხოვნის მიზეზი გერმანიის ჩემპიონატში ცუდი თამაშის გარდა ისიც იყო, რომ ტენერიფეს ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე „ვერდერმა" მასპინძლებთან 0:4, მადრიდის „ატლეტიკოსთან" კი 0:8 წააგო.

90-იანი წლების გერმანიის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი მწვრთნელის პრობლემის წინაშე მას შემდეგ დადგა, რაც ოტო რეჰაგელი „ბაიერნში" გადავიდა. ვერც რეჰაგელის შემცვლელმა, ჰოლანდიელმა ად დე მოსმა და ვერც დიორნერმა თასების თასის 1992 წლის მფლობელს თავისი თამაში ვერ აპოვნინეს.

კლუბის სავარაუდო მწვრთნელად „ჰამბურგის" ექს-თავკაც ფელიქს მაგათს და „დიუსელდორფის" ყოფილ მწვრთნელს ალექსანდრ რისტიჩს ასახელებენ.

## ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატი

I ჯგუფი

**ბოსნია 1:1 დანია**

0:1 მადსენი (64), 1:1 მურატოვიჩი (78)

III ჯგუფი

**ფინეთი 0:0 ნორვეგია**

**უნგრეთი 2:2 შვეიცარია**

1:0 დვერი (11), 1:1 ტურე (20), 1:2 ფრიზი (29), 2:2 ვარგა (44)

IV ჯგუფი

**ბელარუსი 0:1 შვედეთი**

0:1 ველშტადი (87)

**ესტონეთი 0:1 ავსტრია**

0:1 ბრენერი (30)

V ჯგუფი

**ბულგარეთი 3:1 ისრაელი**

0:1 სივილია (12), 1:1 ნიკოლოვი (13), 2:1 ალექსანდროვი (67), 3:1 იოვოვი (85)

VII ჯგუფი

**თურქეთი 3:0 უელსი**

1:0 სასი (24), 2:0, 3:0 ოზქანი (60, 82)

VIII ჯგუფი

**რუმინეთი 3:0 მაკედონია**

1:0 როსუ (12), 2:0 მიჰალჩეა (30), 3:0 ლუტუ (74)

**ირლანდია 2:0 ლიტვა**

1:0, 2:0 ფინი (55, 90)

IX ჯგუფი

**უკრაინა 1:0 ალბანეთი**

1:0 კრიპაკი (89)

**პორტუგალია 8:1 სომხეთი**

1:0 კუნა (10 პ), 2:0 რამოსი (13), 2:1 რომიკა (27 პ), 3:1 რამოსი (28), 4:1 ბოა მორტე (31), 5:1 კუნა (40), 6:1, 7:1 ტეიშეირა (59, 65), 8:1 ნუნიეში (87)

# რაიტი რეკორდსა და იმიჯზე ფიქრობს



**ინგლისის ჩემპიონატის მეორე ტურში „არსენალის" თავდამსხმელმა იან რაიტმა ორი გოლი გაიტანა და კარიერის მონაგარი 178-მდე გაზარდა. ახლა რაიტს ლონდონის უძველესი კლუბის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირობამდე სამი ბურთის შეგდებაღა აკლია. სწორედ ამ ამბავზე მოგვითხრობს გაზეთ „სანში" გამოქვეყნებული წერილი, რომელიც ბრაიან ფულაფის კალამს ეკუთვნის.**

იან რაიტს ყოველთვის ეს უნდოდა — ყოფილიყო პირველი, საუკეთესო, მჯობნის მჯობნი. მწველი სურვილი ჯერ კიდევ 25 წლის წინ, სკოლის ეზოში მოეძალა.

რაიტი ამბობს: ყველა ბავშვი ცდილობდა, სხვაზე მეტი გოლი გაეტანა. მეც ასე გახლდით. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა, ჩოგბურთის ბურთს ძელების მაგივრად აქეთ-იქით დაყრილ ტანსაცმელში რომ გავაძვრენდი. მას მერე ბომბარდირობის ჟინით ვარ შეპყრობილი. ერთადერთი, რაც გამოიცვალა, ისაა, რომ მოედანი გახდა ცოტა დიდი.

„ქოვენთრის" კარში გატანილმა ორმა გოლმა იგი უდიდეს არსენალელებზე — ტედ დრეიკზე, დევიდ ჰერდზე, ჯო ბეიკერზე, მალკოლმ მაკდონალდზე და ფრენკ სტეპლტონზე წინ დააყენა, სულ მალე კი რაიტი კლაივ ბასტინის 50 წლიან რეკორდს დაამხობს.

რაიტი აღიარებს: ამას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა ექნება. მინდა სარეკორდო გოლი „ჰაიბრიზე", სავსე ტრიბუნების წინ გავიტანო, შემდეგ მოედნის ცენტრში დავდგე და მივესალმო ქომაგებს, რომლებიც ჩემს მიმართ ყოველთვის დიდებულნი იყვნენ. სინამდვილეში კი არავინ იცის, ეს როდის მოხდება ან როგორი იქნება ის სარეკორდო გოლი. ნეტავ მალე იყოს, რეკორდი დავამხო და რეკორდს იქით გოლების გატანა განვაგრძო. არდადეგებზე ამერიკაში რომ ვიყავი, ჩემთან ბევრნი მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ — „არსენალი" რეკორდს დაგამყარებინებს თუ არა, გაგყიდისო. სინამდვილეში კლუბი სულ სხვას მპირდება. მეც არ მინდა, ასე რომ მოხდეს. 33 წლის ვარ, კონტრაქტის თანახმად წინ კიდევ სამი წელიწადი მაქვს. თავს ისევე შემართულად ვგრძნობ, როგორც ყოველთვის, თუმცა ვიცი — დაუსრულებლად ასე არ გაგრძელდება. როდესაც გუნდს აღარ გამოვადგები, მის და მისი ახალგაზრდობის წინსვლას გზაზე არ გავეჩხირები. თუ „არსენალი" ჩემს გაყიდვას მოისურვებს, გამყიდოს, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე არ ვფიქრობ, რადგან ძლიერი ვარ. ბოლოხანს ბევრ რამეს გადავხედე — რით ვიკვებები, როგორ ვცხოვრობ მოედანზე და მის გარეთ. მინდა დარჩენილი ყოველი წამით ვისიამოვნო. საფრანგეთის ოთხთა ტურნირის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე კვირა დავისვენე, მაგრამ ვიგრძენი, რომ გული კვლავ მოედნისკენ მიწევდა. მაშ ასე: რაკიღა მოედანი მენატრება, ესე იგი მას ჯერ არ უნდა დავშორდე. აი, როგორ ვგრძნობ ახლა თავს, ფეხბურთისთვის თავის დანებების შემდეგ კი ამ გრძნობასთან მექნება საომარი.

## შემქმნელები

ფეხბურთი რაიტის ცხოვრებაა და მასთან განშორება არ სურს. იგი ახლა უფრო მძაფრად თამაშობს, ვიდრე ადრე. კვირაში ორჯერ, თავისი ფიცხი ბუნების შესახებ რომ კითხულობს, უფრო თვინიერი ხდება. იმავე „ქოვენთრისთან" რიჩარდ შოუმ და პოლ უილიამსმა მისი გამოწვევა სცადეს, მაგრამ არ აჰყვა. ახლა რაიტს გაისინდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში ამოუჭრია გულში. დღეს, მოლდოვასთან მოახლოვებული მატჩის წინ, ალან შირერის უპირველეს შემცვლელად სწორედ მას მიიჩნევენ.

ის დასძენს: თავს ბავშვივით ვგრძნობ, თუმცა, ყოველთვის ასე ვიყავი. ბოლო წლების განმავლობაში ევროპის წამყვან ფეხბურთელებს ტელევიზიით ვუცქერდი, ახლა კი ვხედავ, რომ ისინი აქ არიან — „არსენალის" გასახდელში, ჩემს გვერდით. გავიხედავ — სხედან ბერხკამპი, ოვერმარსი, პეტი, ვიეირა. თან ვიცი, რომ ისინი ჩემთვის საგოლე მომენტის შექმნას ცდილობენ. ეს დიდებული შეგრძნებაა. არა, ჩემი ენთუზიაზმი არასდროს გაქრება, ყოველთვის სხვებზე მეტი გოლის გატანა მენდომება. ახლა მსურს, გასულ სეზონზე მეტი გავიტანო. მას მერე „არსენალში" პირველად რომ მოვედი და ჯორჯ გრემმა მითხრა, თამაშის გარანტიას ვერ მოგცემ, შენი ადგილისთვის ბრძოლა მოგიწევსო, დიდი დრო გავიდა. ახლა რომ ვაკვირდები, ეს გამოწვევა იყო, ისევე როგორც რეკორდი, რომლის წინაშეც დღეს ვდგავარ. იქნებ ამ სეზონში ყველაფერი სიკეთისკენ მოტრიალდეს. „არსენალში" კარგი მოთამაშეები შეიკრიბნენ, მათ ჩემპიონობა შეუძლიათ. მეც კარგად დავიწყე. ეტყობა რეკორდს მოვხსნი.

— სამჯერ ვაკაკუნებ, რომ არ დავითარსო. კაცს საქმე ასე რომ წაგივა, ყოველი წუთისგან სიამოვნება უნდა მიიღო.

მაგრამ, როდესაც „ნორვიჩის" ამბავს იხსენებს, სახეზე ღიმილი აცივდება: მეტოქის მცველმა კევინ სკოტმა იჩივლა, რაიტი ჩემთან ჩაჩუტებას, კოცნას და მასხარაობას ლამობდაო. საქმე სეზონის წინ „ქეროუ როუდზე" გამართულ ამხანაგურ მატჩს ეხება.

გაბრაზებული რაიტი აცხადებს: ის ამბობს, რომ რაღაცეებს ჩავდიოდი და ვამბობდი. ეს უკვე მეტისმეტია. მას ასეთების თქმით მხოლოდ თავისი სახელის განთქმა სურს. მის სახელსაც კი არ გავიმეორებ. მოწინააღმდეგეებმა კარგად იციან, რომ სულ მათ ცხვირწინ და ზურგსუკან ვიქნები. ასეთია პრემიერლიგის ფეხბურთი. მორჩა, ამიერიდან ჩემი იმიჯისთვის სასტიკად ვიბრძოლებ. ამ ფეხბურთელებმა იციან, რასაც სჩადიან. „ქოვენთრისთან" თამაშში პერსონალურ მეურვეებად ჩემი მეგობრები მედგნენ. უილიამსს და მე დიდი წარსული გვაკავშირებს, რიჩარდ შოუსთან ერთად კი „კრისტალ პალასში" ვთამაშობდი. მოწინაალმდეგე მცველთა უმრავლესობასთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს, ჩემს უარმყოფელებსა და კრიტიკოსებს კი არც ვუპასუხებ და არც დავუშავებ. მათ ჩემი გოლები და ჩემზე დაწერილი ქების წერილები აცოფებთ.

რაიტი მოარული ადრენალინია. ის ენ-



ჯერ კიდევ რეკორდსმენი ბასტინი

თუზიაზმს ასხივებს. ახალი სეზონი, ახალი მაისური, ახალი ბუცი, ახალი თანაგუნდელები და ჩინებული მოედანი. იგი ვერ ითმენს.

ის აღიარებს — ასეთი ვარ: ვიღვიძებ და გოლების გატანაზე ვფიქრობ.

ეს ენთუზიაზმი სკოლის ეზოში დაიბადა, რაიტი ექვსი წლისა რომ იყო. ახლა რეკორდების წიგნთან დგას.

რეკორდი, შესაძლოა, ამ შაბათს „საუთჰემპტონთან" დამყარდეს, შესაძლოა 27-ში „ლესტერთან", თუ არა და შინ, 30 აგვისტოს, ძველ მტერ „ტოტენჰემთან".

რაიტი ამბობს: თითოში ორი რომ გამატანინა, ბედნიერი ვიქნებოდი. მე ხომ ვიცი — ამდენი დიდი ფეხბურთელი ჩემს ხელშეწყობაზე ფიქრობს.

თარგმნა
ბაპუნა ძიძიაშ

# ჰაიბრი მემკვიდრეობის წინაამდეგ

იან რაიტი მალე რეკორდს დაამყარებს. ის „არსენალის" ისტორიაში უდიდესი ფორვარდი გახდება. ფეხბურთელი ასეთ დიდებაზე ბავშვობიდან ოცნებობდა. იგი, როგორც ვნახეთ, ახლაც ოცნებობს. სურს სარეკორდო გოლი ლამაზად გაიტანოს, შემდეგ მოედნის ცენტრში მივიდეს და „ჰაიბრის" გადავსებულ ტრიბუნებს მიესალმოს, მაგრამ...



WORLD SOCCER

...„არსენალი" დილემის წინაშეა. აშკარაა, რომ მათი სტადიონის ტევადობა უნდა გაიზარდოს. 38 500 ადგილი აღარ ჰყოფნის, რადგან „ჰაიბრი" ყველა თამაშზე სავსეა.

წინაამდეგობა: მემკვიდრეობის დეპარტამენტმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთი ტრიბუნა მეორე ხარისხის ისტორიულ ნაგებობათა სიაშია შეტანილი.

დასავლეთ ტრიბუნა 1932 წელს თავად უელსის პრინცმა გახსნა, აღმოსავლეთი კი ხუთი წლის შემდეგ ააგეს. ორივე, იმთავითვე, ხელოვნების ნიმუშად მიიჩნიეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსენალელთა ვალი 150 ათასი გირვანქა გამოდგა, რაც დღევანდელი ზომებით დაახლოებით ოცჯერ მეტია, მაგრამ განა მისი შედარება შეიძლება იმ 3 მილიონთან, „ჩელსიმ" და „ტოტენჰემმა" ახალ ტრიბუნათა ასაგებად რომ დახარჯეს? აშკარაა — „არსენალმა" სტადიონი კარგ დროს ააშენა.

ისინი „ჰაიბრიზე" 1913 წლის შემდეგ არიან. „არსენალი" იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, სერ ჰენრი ნორისმა გადაიყვანა პლამსტედიდან ტემზის გაღმა, სადაც სენტ ჯონის ტექნოლოგიური კოლეჯის მიწაზე ააგეს კიდეც ახალი სტადიონი. ომისწინა რეკორდი 70 ათასი მაყურებელი გახლდათ, ომისშემდგომი კი — 62 ათასი. ისინი ფეხზე იდგნენ.

ახლა, გამოსავლად, შეიძლება ჩრდილო და სამხრეთ ტრიბუნების გადიდება მიიჩნიონ. ასე აღმოსავლეთი და დასავლეთი გადარჩება, მაგრამ პრობლემა მაინც არ გადაწყდება, რადგან მემკვიდრეობის დეპარტამენტი „ჰაიბრიზე" მანქანების ნაკადის გაზრდის წინააღმდეგია.

ამბობენ „არსენალი" სხვა სტადიონზე გადავაო. სად? ასეთი რამ შესაძლოა პროვინციულ „მიდლსბროს" შეეფერებოდეს, შეეფერება „დერბის" და „სანდერლენდსაც", მაგრამ, ინგლისელთა აზრით, ლონდონი სხვა ამბავია. „არსენალის" გადასახლებას მისი ქომაგები ვერ შეეგუებიან.

## ფეხბურთის რუკასთან



ჩეხეთის ჩემპიონმა პრაღის „სპარტამ" განაცხადა, „ბაიერნთან" მეგობრული ურთიერთობები დავამყარეთ და ახლა იმედია, ლოთარ მათეუსის გადაბირების საქმესაც იღბლიანად დავასრულებთო. კლუბის პრეზიდენტ ალექსანდრ რეჟეშის თქმით, რომელიც ამავდროულად „სპარტას" მფლობელი და ლითონშემდუღებელი კომპანიის „VS2" დირექტორატის წევრია, მათი მიზანია „სპარტას" გაძლიერება და „ბაიერნის", „აიაქსისა" და „იუვენტუსის" დონემდე აყვანა.

**საფრანგეთის „სენტ ეტიენი", ერთ დროს ქვეყნის პირველ გუნდად რომ ითვლებოდა, კვირას გაძარცვეს. ბოროტმოქმედებმა იცოდნენ, რომ კლუბის სტადიონ „ჟოფრეი-გიშარის" სიგნალიზაცია მსოფლიო ჩემპიონატის სამასპინძლოდ მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო გამორთული იყო და მუშაობას ნელა შეუდგნენ, მაგრამ სეიფის გატეხვა რომ ვერ მოახერხეს, მთლიანად წაიღეს. მასში, გარდა ათეულ ათასობით ფრანკისა, ფეხბურთელთა კონტრაქტები და სხვა საბუთებიც ინახებოდა.**

ავსტრალიელი ნედ ზელიჩი, ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი, ფრანგული „ოსერიდან" იტალიის „ლეჩეში" გადავიდა 450 ათას დოლარად. მისი დებიუტი ახალ გუნდში, ალბათ, პირველ ტურში შედგება „იუვენტუსის" წინააღმდეგ. ზელიჩი სერია A-ს მეოთხე ავსტრალიელია ფრენკ ფარინას, ჯონ ალოიზისა და პოლ ოკონის შემდეგ.

**აშშ-ში 1-15 თებერვალს მეოთხედ გაიმართება კონკაკაფში შემავალი ქვეყნების თასის, იგივე „ოქროს თასის", ღია გათამაშება. ათგუნდიანი ტურნირის მონაწილეები კონკაკაფელთა გარდა სამხრეთამერიკელებიც ყოფილან. უკვე მოეწყო ჯგუფების წილისყრა. I ჯგუფი: ბრაზილია, სალვადორი, კანადა, გვატემალა; II ჯგუფი: მექსიკა, ტრინიდადი და ტობაგო, ჰონდურასი; III ჯგუფი: აშშ, კოსტა-რიკა და კუბასა და სენტ ნევისს შორის 4 ოქტომბერს გასამართი მატჩის გამარჯვებული. ამ ტურნირის ფინალს მესამედ უმასპინძლებს ლოს ანჯელესი. წინა სამ გათამაშებაში მექსიკამ იმარჯვა.**

რუსეთის ნაკრებმა 48 საათის განმავლობაში ორი თამაშის წაგება მოახერხა. ორშაბათს განახლებულ ლუჟნიკებზე მსოფლიო ნაკრებთან საიუბილეო მატჩში 0:2 მარცხის მერე გუშინ რუსებმა სანქტ პეტერბურგში იუგოსლავიას ამხანაგურად უმასპინძლეს და კვლავ ვერ შეძლეს თუნდაც ერთი გოლის გატანა, სტუმარმა სლავიშა იოკანოვიჩმა კი ათი ათასი მაყურებლის თვალწინ მატჩის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ოვჩინნიკოვს პენალტი შეუგდო. მატჩი ამხანაგური კი იყო, მაგრამ მსაჯმა რუსი ბესჩასტნიხი 67-ე წუთზე მაინც არ დაინდო და გააძევა.

**ინგლისის „კრისტალ პალასმა" ახალი ფეხბურთელი, ისრაელის ნაკრების წევრი იცხაკ ზოხარი შეიძინა. 26 წლის ნახევარმცველი ინგლისში 2 მილიონ დოლარად გადავიდა ბელგიური „ანტვერპენიდან".**

ნორვეგიელი ფორვარდი სტეფან ივერსენი, შესაძლოა, არ დაასჯარიმონ „ვესტ ჰემ" — „ტოტენჰემის" შეხვედრისას მსაჯისთვის ნაჩვენები უხამსი ჟესტის გამო. 20 წლის ტოტენჰემელი ფორვარდი ვიდეოკამერამ თამაშისას მომხდარი არეულობის დროს დააფიქსირა.

**ჰოლანდიის ქალაქ ჰაარლემში დაიწყო სასამართლო, რომელზეც განიხილავენ ამ გაზაფხულს როტერდამელი გულშემატკივრების მიერ „აიაქსის" ფანთა ლიდერის კარლო პიკორნის მკვლელობის საქმეს. იურისტთა განცხადებით, სასამართლო მინიმუმ ერთ კვირას გასტანს.**

შოტლანდიის ლიგის თასის მესამე წრის ოთხი შეხვედრა ასე დამთავრდა: დანდი — აბერდინი 0:3, რეით როვერსი — ჰართსი 1:2, რეინჯერსი — ფალკირკი 4:1, სენტ ჯონსტონი — სელტიკი 0:1 (დამატებით დროში).

**ესპანეთში [illegible] „ბარსელონას" რივალდოში გადახდილი 26 მილიონი [illegible] ლა კორუნიელთა პრეზიდენტმა ავგუსტო სესარ ლენდოიროომ განაცხადა, თუ „ბარსელონამ" თანხა ამ დღეებში არ გადმოგვირიცხა, მის წინააღმდეგ სარჩელს შევიტანთო. ეს 26 მილიონი დოლარი „ბარსას" ისტორიაში ყველაზე დიდი ვალია. ისე კი, ნუნიესმა განაცხადა, ვისაც რივალდოს შეძენა კონტრაქტის დასასრულამდე, ანუ უახლოეს ექვს წელიწადში მოუნდება, 95 მილიონი დოლარი უნდა გადაიხადოსო.**

ბელგიის კლუბ „ლოკერენის" მწვრთნელად დაინიშნა ვილი რაინდერსი, რომელმაც რუდი კოსი შეცვალა. 43 წლის რაინდერსი ადრე „მეხელენში" მუშაობდა, ახლა კი იმ კლუბს ჩაუდგა სათავეში, პირველ ორ ტურში ორივე თამაში რომ წააგო — 0:3 და 1:5.

**კოსტა-რიკის ნაკრებს ახალი თავკაცი გამოუნახეს — ესაა ხუან ლუის ერნანდეს ფუერტესი, რომელიც აქამდე „კარტახენას" წვრთნიდა. მან არგენტინელი ხორაციო კორდერო შეცვალა.**

ინგლისელი პიტერ ბერდსლი „ნიუკასლიდან" „ბოლტონში" 724 ათას დოლარად გადავიდა. 36 წლის ბერდსლის „ნიუკასლიდან" წასვლა შირერის ტრავმის შემდეგ საეჭვო იყო, მაგრამ გუნდში ბარნსისა და რაშის მოსვლამ ნათელი გახადა პიტერის სხვაგან გადასვლის აუცილებლობა.

**ნიგერიის ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში განცდილი მარცხისთვის ქვეყნის სპორტის მინისტრმა ჯიმ ნწობოდომ მწვავედ გააკრიტიკა. მინისტრი მწვრთნელს აუხირდა, ახალგაზრდების გამოცდა მაინცდამაინც გვინეასთან მატჩში რატომ მოგინდაო, ტრუსიემ კი საპასუხოდ განაცხადა, ევრე თუ გააგრძელეთ ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფა, გადავდგებიო.**

ირანელი ქარიმ ბაგერი აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ კონტინენტის ივლისის საუკეთესო მოთამაშედ აღიარა. გერმანულ ბილეფელდის „არმინიაში" მოთამაშე ბაგერის საუკეთესოდ აღიარებაში დიდი როლი აზიის ნაკრების მაისურით მსოფლიოს ნაკრების კარში გატანილმა სამმა გოლმა ითამაშა. ეს „ჰეთ-თრიკი" რომ არა, საუკეთესოდ, უეჭველად, სინგაპურელ ვინსენტ სუბრამანიამს აღიარებდნენ, ვინც თავისი კლუბი „არმი" ჩემპიონი გახადა.

**იტალიის სერია B-ში მოთამაშე „ტორინოს" მწვრთნელმა გრემ სუნესმა განაცხადა, „ლიდსის" და ინგლისის ნაკრების ყოფილი მცველი ტონი დორიგო სწორედ რომ დაამშვენებდა „ტორინოსო". საუნესისვე თქმით, 31 წლის ფეხბურთელის თაობაზე კლუბებს შორის უკვე მიღწეულია შეთანხმება და მალე დორიგო, ალბათ, იტალიაში გადაბარგდება.**

ინგლისის ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორმა მორის უოტკინსმა განაცხადა, კანტონა რომ მილიონ 200 ათასს გვედავება, პენსსაც ვერ მიიღებსო. ფრანგმა ყოფილ კლუბს შესჩივლა, ჩემი გვარით დამშვენებულ მაისურებს და ათასგვარ სუვენირებს რომ ჰყიდით, ფული გადამიხადეთო. კლუბმა თანხის გადახდა იუარა და ისიც დასძინა, ეს სუვენირები აგერ უკვე ორი კვირაა, აღარ იყიდება და არც გაიყიდებაო.

**გერმანიის „მიუნხენ 1860"-ის ყოფილი კაპიტანი, ვეტერანი მანფრედ შვაბლი იტალიის სერია B-ში გადაბარგდა, კერძოდ კი „ანკონაში". ტრანსფერი 271 ათასი მარკა დაჯდა და როგორც მიუნხენელთა მწვრთნელმა ვერნერ ლორანტმა განაცხადა, ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. შვაბლს გერმანელებთან 1999 წლამდე უნდა ეთამაშა, მაგრამ აპენინებზე არჩია კარიერის დასრულება.**

ჰოლანდიის „ეინდჰოვენმა" ამ დღეებში შესაძლოა რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის „ტორპედოს" თავდამსხმელი დმიტრი ხოხლოვი შეიძინოს. კლუბებს შორის შეთანხმება მიღწეულია, თუმცა ტრანსფერს ჯერ ოფიციალური სახე არ მიუღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### საფრანგეთის ჩემპიონატი. IV ტური

22 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბასტია — შატორუ | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| კანი — ბორდო | 2,4 | 2,9 | 2,2 |
| ოსერი — გინგამი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| მეცი — პსჟ | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| მარსელი — ლანსი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ლე ავრი — ლიონი | 1,9 | 2,8 | 3,1 |
| მონპელიე — ტულუზი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| სტრასბური — ნანტი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| რენი — მონაკო | 2,7 | 3,0 | 2,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ვოლფსბურგი — ჰერტა | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| მიუნხენი 1860 — ჰანზა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| კაიზერსლაუტერნი — შალკე | 1,9 | 2,7 | 3,2 |
| დორტმუნდი — ბოხუმი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| დუისბურგი — შტუტგარტი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ლევერკუზენი — კარლსრუე | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| არმინია — ვერდერი | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| მიონხენგლადბახი — კიოლნი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| 24 აგვისტო | | | |
| ჰამბურგი — ბაიერნი | 3,0 | 2,9 | 1,9 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. IV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ფორტუნა — ფიურტი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| მაინცი — გიუტერსლო | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| კოტბუსი — აინტრახტი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| 23 აგვისტო | | | |
| კიკერსი — ურდინგენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| 24 აგვისტო | | | |
| ნიურნბერგი — კარლ ცაისი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ვატენშაიდი — მეპენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| დიუსელდორფი — უნტერჰახინგი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ცვიკაუ — ზანქტ პაული | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| ფრაიბურგი — ლაიპციგი | 1,5 | 3,1 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 აგვისტო | | | |
| ბლექბერნი — ლივერპული | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ქოვენთრი — ბოლტონი | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ევერტონი — ვესტ ჰემი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ლიდსი — კრისტალ პალასი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ლესტერი — მანჩესტერი | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| ნიუკასლი — ასტონ ვილა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| საუთჰემპტონი — არსენალი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ტოტენჰემი — დერბი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| უიმბლდონი — შეფილდ უენსდეი | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| 24 აგვისტო | | | |
| ბარნსლი — ჩელსი | 2,3 | 2,9 | 2,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. III ტური

23 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — რედინგი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ბრედფორდი — იფსვიჩი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| ბერი — ჩარლტონი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| მანჩესტერ სიტი — ტრანმერი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| მიდლსბრო — სტოკი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ნორვიჩი — ქრიუ | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ოქსფორდი — ნოტინგემი | 2,9 | 3,0 | 1,9 |
| პორტ ვეილი — სანდერლენდი | 1,9 | 3,0 | 2,9 |
| ქუინზ პარკი — სტოკპორტი | 1,3 | 3,6 | 6,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — პორტსმუთი | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| სვინდონი — ჰადერფილდი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ვესტ ბრომვიჩი — ვულვერჰემპტონი | 2,2 | 2,8 | 2,5 |

### იტალიის სუპერთასი

23 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — ვიჩენცა | 1,4 | 3,3 | 5,0 |

### ესპანეთის სუპერთასი. II მატჩი

23 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — ბარსელონა | 1,7 | 2,8 | 4,0 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XXIV ტური

23 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — სპარტაკი | 5,6 | 3,8 | 1,3 |
| ლოკომოტივი — ალანია | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ბალტიკა — ჟემჩუჟინა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| ნოვგოროდი — დინამო | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| კრილია — შინიკი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| ზენიტი — ტორპედო | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| როსტსელმაში — როტორი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| კამაზი — ჩერნომორეცი | 1,8 | 3,1 | 3,1 |
| ტიუმენი — ფაკელი | 1,6 | 3,1 | 4,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. II ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| სიტარდი — აიაქსი | 4,4 | 3,2 | 1,5 |
| 23 აგვისტო | | | |
| ნაიმეგენი — ჰერენვენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| გრააფსხაპი — ტილბურგი | 1,5 | 3,2 | 4,4 |
| ბრედა — ეინდჰოვენი | 4,4 | 3,2 | 1,5 |
| ვოლენდამი — ტვენტე | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| ვალვაიკი— გრონინგენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| უტრეხტი — მაასტრიხტი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| ვიტესი — როდა | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ფეიენოორდი — სპარტა | 1,3 | 3,6 | 6,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. III ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| ლიერსი — ანდერლეხტი | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| 23 აგვისტო | | | |
| სტანდარდი — ლოკერენი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| მუსკრონი — შარლერუა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ბევერენი — სენტ ტრიუდენი | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| ანტვერპენი — ლომელი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| მოლენბეკი — ალსტი | 1,6 | 2.9 | 4.4 |
| გენკი — ეკერენი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| გენტი — ვესტერლო | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| 24 აგვისტო | | | |
| ჰარელბეკი — ბრიუგე | 2,8 | 2,9 | 2,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. III ტური

23 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — მოზერველი | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| დანფერმლაინი — ჰართსი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| ჰიბერნიანი — კილმარნოკი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| სენტ ჯონსტონი — სელტიკი | 3,2 | 3,0 | 1,8 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. IX ტური.

23 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ადმირა — რიდი | 1,8 | 3,0 | 3,2 |
| გრაცერი — აუსტრია | 2,0 | 2,7 | 3,0 |
| ტიროლი — ლუსტენაუ | 1,5 | 3,2 | 4,4 |
| ლინცერი — ზალცბურგი | 2,2 | 2,8 | 2,5 |
| რაპიდი — შტურმი | 1,7 | 2,8 | 4,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 22 აგვისტო | | | |
| კარუჟი — გრასჰოპერი | 4,0 | 3,1 | 1,6 |
| 23 აგვისტო | | | |
| ბაზელი — სენტ გალენი | 1,9 | 3,0 | 2,9 |
| ლოზანა — ქსამაქსი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ციურიხი — სიონი | 2,1 | 2,8 | 2,7 |
| 24 აგვისტო | | | |
| არაუ — ლუცერნი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| კრინსი — სერვეტი | 2,3 | 2,9 | 2,3 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. I ტური

24 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ვარზიმი — პორტუ | 5,3 | 3,2 | 1,4 |
| მარიტიმუ — ამადორა | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| სალგეირუში — ლეცა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ბენფიკა — კამპომაიორენსე | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ბოავიშტა — სეტუბალი | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| გიმარაეში — აკადემიკა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| შავეში — რიუ ავე | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ფარენსე — სპორტინგი | 5,3 | 3,2 | 1,4 |
| ბელენენსეში — ბრაგა | 1,8 | 3,0 | 3,2 |

### თურქეთის ჩემპიონატი. III ტური

22-24 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ანკარაგიუჯუ — ისტანბულსფორი | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| ბეშიქთაში — გაზიანთეფსფორი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ბურსასფორი — კაიზერისფორი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ფენერბაჰჩე — ტრაბზონსფორი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| ქოჩაელისფორი — გალათასარაი | 7,0 | 4,2 | 1,2 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი

24 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| სლოვაკეთი — ჩეხეთი | 2,7 | 3,0 | 2,0 |

### იტალიის თასი. I ეტაპი. II წრე

24 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეჩე — ჩეზენა | 1,2 | 4,0 | 8.0 |
| ლუკეზე — ბრეშელო | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| პესკარა — ანკონა | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| დი სანგრო — კიევო | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| ვერონა — კატანია | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| რეჯინა — პალერმო | 1,6 | 3,2 | 3,8 |
| პერუჯა — სავოია | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| პადოვა — ფ. ანდრია | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| ფოჯა — კოზენცა | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| კალიარი — ნოჩერინა | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ტორინო — კომო | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| რეჯანა — ტრევიზო | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| რავენა — კრემონეზე | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ბარი — სალერნიტანა | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| ვენეცია — კაპრი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ჯენოა — მონცა | 1,15 | 4,7 | 8,0 |

## CROCO-2

### ტირაჟი №55

1. კაიზერსლაუტერნი — შალკე
2. დუისბურგი — შტუტგარტი
3. არმინია —ვერდერი
4. ბლექბერნი — ლივერპული
3. ქოვენთრი — ბოლტონი
6. ლესტერი — მანჩესტერ იუნაიტედი
7. საუთჰემპტონი — არსენალი
8. უიმბლდონი — შეფილდ უენსდეი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

იუბილე

# შემიკროფონოდ არ შემიძლია



მისი ხმა 50 წელია, დაჰყვება სპორტის გულშემატკივართ. დაჰყვება ყველგან ყოველი დონის ასპარეზობაზე, ყველა სახეობაში. იგი სპორტული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. ოთარ ანანოვს, სპორტული ასპარეზობის დიქტორ-ინფორმატორს დღეს 70 წელი შეუსრულდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

— ბავშვობაში ბევრ სპორტს მივდევდი, განსაკუთრებით კი მძლეოსნობას. საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი და მის მძლეოსანთა ნაკრებშიც მოვხვდი. 1946 წელს თბილისში ლატვიის და საქართველოს ნაკრების მატჩი იყო მძლეოსნობაში, დიქტორი არ მოვიდა და ქართული მძლეოსნობის მოამაგემ ლელიკო გიორგაძემ ეს საქმე მე შემომთავაზა. მისი არჩევანი იმან განაპირობა, რომ მძლეოსნობაში ბევრი გამეგებოდა: ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის რეკორდები ზეპირად ვიცოდი. გარდა ამისა, მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდი ვოკალზე. ჰოდა, ლელიკომაც ეს მისია მომანდო. როგორც მითხრეს, წარმატებით გავართვი თავი.

ამიტომაც 1947-ის აპრილში უკვე ოფიციალურად მიმიწვიეს საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ესტონეთის მძლეოსანთა მატჩზე და მას შემდეგ საქართველოში რაც კი შეჯიბრება ყოფილა ფეხბურთში, კალათბურთში, ჭიდაობაში, წყალბურთში, ფარიკაობაში, დოღში. მოკლედ, ყველა სახეობაში, უჩემოდ არ ჩაუვლია.

**— ბევრ დიდ ასპარეზობას ჩაუვლია თქვენს თვალწინ...**

— უამრავს. მე ქალაქის პირველობებზეც ვიყავი და უფრო მნიშვნელოვან ასპარეზობებზეც, რომელი ერთი ჩამოვთვალო — საერთაშორისო ტურნირები ჭიდაობაში, ამერიკელი კალათბურთელების პირველი ჩამოსვლა თბილისში, ევროპის 1965 წლის ჩემპიონატი კალათბურთში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ფეხბურთში...

**— ბევრი ღირსახსოვარი მოვლენაა, მაგრამ რაიმე უფრო კონკრეტულ ამბავს ხომ არ გაიხსენებდით?**

— ამერიკელი კალათბურთელები რომ ჩამოვიდნენ, „დინამოს" სტადიონზე დაადგეს ფიცარნაგი. სტადიონი გადაჭედილი იყო. ამ დროს წვიმა არ დაიწყო? ჰოდა, ჩვენი სპორტის თავკაცმა გიორგი სიხარულიძემ მითხრა — მიდი, რამე თქვიო. რა უნდა.მეთქვა, გამოვაცხადე, წვიმა 20 წუთში გადაიღებს-მეთქი. მართლა ზუსტად ოც წუთში არ გადაიღო?! მერე შინ მირეკავდნენ, არ იცით, ხვალ რა ამინდი იქნებაო.

**— ქართულადაც აცხადებდით და რუსულადაც?**

— დიახ ორივე ენაზე. 1947 წელს, აი, იმ ჩემი პირველი ოფიციალური დიქტორობისას არ მენდნენ. ქართულად დიმიტრი მიქაბერიძეს უნდა გამოეცხადებინა, რუსულად — მე. შეჯიბრი იყო ამანათრბენში. მე გამოვაცხადე „სეიჩას სოსტოიტსა ესტაფეტნი ზაბეგ ჩეტირე პო სტო მეტროვ. ოტ გრუზიი ბეგუტ კიკაბიძე, ტრაპაიძე, გეგეშიძე ი სანაძე". მიქაბერიძეს რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ჩემი განცხადება ასე გადათარგმნა. „ამანათრბენი ოთხნი ასზე. საქართველოდან გარბიან კიკაბიძე, ტრაპაიძე, გეგეშიძე და სანაძე". რას ჰქვია საქართველოდან გარბიანო, მაგრამ მოხვდა.

**— შეგშლიათ გამოცხადებისას?**

— შეცდომას არ ვუშვებდი. მე ყველა შეჯიბრებისთვის, რა დონისაც არ უნდა ყოფილიყო, სერიოზულად ვემზადებოდი. სპორტსმენებს ვარჯიშებზე ვესწრებოდი, საქმის კურსში ვიყავი, რა ხდებოდა თითოეულ სახეობაში. ერთი კი მახსოვს — დოღი მიმყავდა. 1 600 მეტრზე იყო სირბილი. უნდა გამომეცხადებინა როგორი შედეგი ჰქონდათ ცხენოსნებს პირველ ას მეტრზე და მერე ყოველ 500-ზე. ოქტომბერი იყო და საკმაოდ ციოდა. ბიჭებმა ჯიხურში არაყი შემოიტანეს და ეურტყამდით. ამ დროს ცხენოსნებმა სტარტი აიღეს და მე კიდევ ვამბობ. „პერვიე სტო გრამ ზა სემ სეკუნდ..." ყველაზე კარგი ისაა, რომ არავინ არ დამიჯერა, რომ წამომცდა. ყველა მეუბნებოდა, ეს რა კარგად იშაყირეო.

**— არის სპორტის სახეობა, რომელზეც არ გიმუშავიათ?**

— ალბათ, ჭადრაკი. თქვენ წარმოიდგინეთ, 60-იან წლებში თბილისში საჩვენებელი მატჩი შაიბიან ჰოკეიშიც წავიყვანე.

**— თქვენს ძირითად საქმიანობას დიქტორ-ინფორმატორობა ხელს არ უშლიდა.**

— არანაირად. ჩემი სპეციალობა არ მიმიტოვებია. ემუშაობდი „საქსოფლმშენში". ტექნიკური განყოფილების უფროსად. იმ საქმესაც სერიოზულად ვეკიდებოდი. მაგრამ სპორტულმა დიქტორ-ინფორმატორობამ ბევრი მეგობარი შემძინა, ბევრ სპორტულ დღესასწაულს დამასწრო. რამდენი შესანიშნავი სპორტსმენი მახსოვს. ფეხბურთელები — პაიჭაძე, დოროხოვი, ღოღობერიძე, კოტრიკაძე, ბარქაია, მესხი, მეტრეველი, ელოშვილი... კალათბურთელები — ოთარ ქორქია, ჯორჯიკია, ინწკირველი, მინაშვილი, ალთაბაევი, მოსეშვილი, უგრეხელიძე, მიშა ქორქია, საკანდელიძე, დერიუგინი... მძლეოსნები — სანაძე, დვალიშვილი, გოკიელი, შავლაყაძე... წყალბურთელები, მოფარიკავეები. იმ დროს საქართველოს სპორტის ნებისმიერ სახეობაში ჰყავდა დიდი სპორტსმენები. ჭიდაობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სადაც თითოეული მსოფლიო დონის ფალავანი იყო.

ახლა რა მწვრთნელები იყვნენ! მე და კარლო გაგნიძე ერთად ვთამაშობდით რკინიგზის ტექნიკუმის გუნდში. ჰოდა, ინდუსტრიული ტექნიკუმის გუნდთან თამაშის შემდეგ მოვიდა ანდრო ჟორდანია და იქიდან წაიყვანა „დინამოში". არც ერთ ასეთ თამაშს არ გააცდენდა და ასე კარდაკარ ეძებდა ნიჭიერ ფეხბურთელებს. თუნდაც კალათბურთში რა მწვრთნელები იყვნენ — კეკელიძე, ბაბახანიდი, ზახლიანი, ოგანესოვი.

**— გყავდათ გამორჩეული სპორტსმენები, რომლებიც განსაკუთრებით გიყვარდათ?**

— როგორ არა. იცით რაშია საქმე, დიდ სპორტსმენებს საქართველოში რა გამოლევდა, მაგრამ იყვნენ განსაკუთრებულად ხალასი ნიჭის პატრონები, უნიკალურნი. მაგალითად: მიხეილ მესხი და სიომა ბარქაია, რომელთა თამაშს განსაკუთრებული აღფრთოვანებით ვუყურებდი.

**— თქვენ ხმას თუ ეტყობოდა, რომელი ტურნირს ემსახურებოდით. უფრო ზეაწეული როდის იყავით?**

— მართალი გითხრა, არა. მე ერთნაირად მიმყავდა საქალაქო ტურნირი იქნებოდა, თუ საერთაშორისო. ერთნაირი სერიოზულობით ვუდგებოდი ყველა მათგანს. რა თქმა უნდა, როცა ჩვენთვის სასიხარულო ამბავი უნდა მეცნობებინა გულშემატკივართათვის, განსაკუთრებით ვღელავდი. ვთქვათ, ვინმე მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ან რეკორდი დაამყარა. სანამ გამოვაცხადებდი, ნერვიული კანკალი ამიტანდა ხოლმე სიხარულისაგან.

ძალიან მიძნელდებოდა, როცა არასასიამოვნო ამბავი უნდა მეცნობებინა. დღესაც მძიმე მოგონებად მრჩება ვლადიმერ მარღანიას გარდაცვალება. იგი „დინამოს" სტადიონიდან გაასვენეს. კარიდან შემოიყვანეს მოედანზე. ამ დროს ლაპარაკს დიდი ძალა უნდოდა. ცრემლები მახრჩობდა და ძლივს შევძელი ხმის ამოღება, მაგრამ, მოდი, მსგავს ამბებს ნუ გავიხსენებთ.

**— გულშემატკივართათვის იქვენი ხმა ახლობელია. სახეზე თუ გცნობენ?**

— იმდენი ხანია სპორტში ვარ, რომ სახეზეც მცნობენ და ხშირად მირეკავენ. მე სპორტის ბევრ სახეობაზე მაქვს ინფორმაცია. თბილისის „დინამოს" შესახებ ყველაფერი ვიცი მისი საკავშირო პირველობაზე გამოსვლის სათავიდან — 1936 წლიდან 1988 წლის ჩათვლით. ჟურნალისტებს თუ რამ გაუჭირდებოდათ, მე მომმართავდნენ. ასეც ხშირად ყოფილა, რომ ტურნირს არ დასწრებიან და ჩემთვის დაურეკავთ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად.

პოპულარობაზე კიდევ ერთ ეპიზოდს: 95-ში მოსკოვში მანეჟში „დინამო" სნგ-ს ჩემპიონატის ტურნირში მონაწილეობდა. მანეჟის დირექტორი ყოფილი თბილისელი კარლოს სარქისოვია. მეც იმ დროს მოსკოვში ვიყავი და გული როგორ მომითმენდა, „დინამოს" თამაშზე არ მივსულიყავი. იგი სემიპალატინსკის „ენიბაის" უნდა შეხვედროდა. კარლომ მითხრა, მიდი, ჩემ თავზე ვიღებ და შენც გამოაცხადეო. თამაშზე რუს დიქტორთან ერთად ჩემი ქართულიც ისმოდა. ნაცნობმა ხმამ ბევრი დამსწრე გააკვირვა. გავრილ კაჩალინმა მითხრა, კაცო, ბილეთი არ ამიღია და საქართველოში როგორ აღმოვჩნდიო. ბიჭებზეც კარგად იმოქმედა. მშობლიური ატმოსფერო შეექმნათ და თამაშ-თამაშით მოიგეს 4:1

**— გული არ გწყდებათ, ახლანდელ სპორტულ ასპარეზობებზე რომ ასე ცოტა ხალხი დადის?**

— როგორ არ მწყდება. ნებისმიერ სპორტულ ღონისძიებას საქართველოში უამრავი ხალხი ესწრებოდა. ფეხბურთზე, კალათბურთსა და ჭიდაობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო და რამდენი დიდი სიხარულიც გვქონდა. მარტო თბილისის „დინამოს" გამარჯვებები 1978 წლის საკავშირო ჩემპიონატში და 1981 წელს თასების მფლობელთა თასზე რად ღირს. გუნდის მთელი შემადგენლობა ვარსკვლავი იყო. ასე მგონია, მანუჩარ მაჩაიძე ახლა რომ გაიყვანო მოედანზე, ახლაც ერთ-ერთი უძლიერესი იქნება. სპორტისადმი უდიდესი ინტერესი იყო და ბავშვთა თამაშებზე უამრავი ხალხი დადიოდა. ბავშვებიც გრძნობდნენ ამას და მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდათ. 50-იან წლებში თბილისში მოსწავლეთა სპარტაკიადა ტარდებოდა. ხალხით იყო გადაჭედილი დარბაზი. კალათბურთელთა მშვენიერი გუნდი იყო. იქიდან დიდი კალათბურთელები გაიზარდნენ. მოსეშვილი, ალთაბაევი, კაზანჯიანი „დინამოს" ლიდერები გახდნენ შემდგომში. ასე იმიტომ ხდებოდა, რომ ბავშვები ხალხით სავსე დარბაზში პატარაობიდანვე გრძნობდნენ პასუხისმგებლობას. ახლა სხვა სპორტს ვინღა ჩივის, თბილისის „დინამოს" თამაშებზე ცარიელია სტადიონი.

**— გული არ გაგტეხიათ, არ გაბრაზებულხართ და არ გითქვამთ, რომ აღარ გინდათ დიქტორობა?**

— არა. ეს საქმე ისე მაქვს გამჯდარი ძვალ-რბილში, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემს საქმეს მაინც გავაკეთებ. იმდენ სიხარულს მანიჭებს სპორტულ ასპარეზობებზე ყოფნა, რომ ბევრი ხალხია თუ ცოტა, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. აქ სულ დღესასწაულია, მხიარულება. თვითონაც მიყვარს იუმორი, მოლხენა, სტუმარ-მასპინძლობა. სხვათა შორის ბავშობაში იმიტაციები მეხერხებოდა, ახლა რომ შემოვიდა მოდაში. ვბაძავდი ბათუ კრავეიშვილის, პეტრე ამირანაშვილის, ვასო გოძიაშვილის, სინიავსკის, ოზეროვის, ლევიტანის, ეროსი მანჯგალაძის ხმებს. ფიქრადაც არ მომდიოდა, თუ სხვისი ხმების მიბაძვით ესტრადაზე შეიძლებოდა გასვლა.

**— თქვენ სულ განცალკევებით უყურებთ სპორტულ ღონისძიებებს, ძნელი არ არის?**

— რა თქმა უნდა, ნამდვილ გულშემატკივარს ტრიბუნაზე ურჩევნია. მეც ასე ვარ. მაგრამ უკვე იმდენი ხანია, აქედან ვუყურებ, შევეჩვიე. თანაც გულშემატკივრების გულისთქმას უკვე აქაც ვგრძნობ და რა რეაქცია მოჰყვება ჩემს ინფორმაციას, ისიც წინაწარ მაღელვებს. ასე იყო ჩემი საქმიანობის დასაწყისში და ასეა დღესაც.

**— შვილები და შვილიშვილები თუ არიან სპორტით დაინტერესებულნი?**

— რა თქმა უნდა, ჩემს ოჯახში სხვაგვარად არ შეიძლებოდა. აი, ჩემი საქმის გამგრძელებელი კი...

**— რამდენი გყავთ?**

— ერთი შვილი და ორი შვილიშვილი. ბიჭს, ჩემს მოსახელე ოთარ ანანოვს სამი დღის წინ შეუსრულდა 12 წელი, გოგონა 9 წლისაა.

**— რამდენი რამ გინახავთ და მოსწრებიხართ. რა დაგრჩათ ოცნებად?**

— მინდა, საქართველოში დაბრუნდეს დიდი სპორტი. ის დრო, როცა ყველა სახეობაში სახელოვანი სპორტსმენები გვყავდა. მსურს ნებისმიერი შეჯიბრი კვლავ დღესასწაულად იქცეს. სპორტს ისეთი ძლიერი სიხარულის მონიჭება შეუძლია, წლებს დაგავიწყებს.

**— და თქვენ კვლავ გაუძღვებით თქვენს საქმეს?**

— რა თქმა უნდა, დღეს და ყოველდღე. სხვაგვარად ვერ ვიცოცხლებ.

**ილია მხეიძე**

წყალთხილამურები

**სჭირდება თუ არა საქართველოს წყალთხილამურები? — ამ შეკითხვით დაიწყო პრესკონფერენცია საქართველოს წყალთხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა რომან მელიამ. პრესკონფერენციის მიწურულს კი თავად გასცა პასუხი ამ კითხვას: წყალთხილამურები საქართველოსთვის აუცილებელია და, თუ ჩვენ დასავლური ტიპის ქვეყნის შენების პრეტენზია გვაქვს, წყალთხილამურების აღორძინება უნდა დავიწყოთო.**

# მელია მსოფლიოს ჩემპიონატს გვპირდება თუ ფული იშოვა



შეუძლებელია, არ დაეთანხმო რომან მელიას, რამეთუ ფაქტია, წყალსათხილამურო სპორტი ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში დიდად პოპულარულია და კომერციულადაც მომგებიანი. მაგრამ ევროპულ დონეს საქართველოს ბევრი უკლია, თუმცა, იყო დრო, ქართული წყალთხილამურები ევროპულ დონეს დიდად არ ჩამოუვარდებოდა — გვყავდა პერსპექტიული სპორტსმენები, პროფესიონალი მწვრთნელები და, რაც მთავარია, მალთაყვის საწყალოსნო კომპლექსი, რომელიც ევროპაში საუკეთესო იყო. რომან მელიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მალთაყვის კომპლექსის ზოგიერთი ობიექტი (რესტორანი, სასტუმრო და სხვა) პრივატიზებულია, არც ის დაუმალავს, რომ მისი პირადი წილი იქ 28 პროცენტია, აი, კომპლექსის დიდი ნაწილი, მათ შორის „ოქროს ტბა", სახელმწიფოს კუთვნილებაა და ამიტომ მათზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა კი მეტისმეტად მცირეა იმასთან შედარებით, რაც წყალსათხილამურო სპორტს სჭირდება. პრესკონფერენციაზე მელიას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ მნათობიშვილი ახლდა. სწორედ მან განგვიმარტა, რომ საქართველოში სპორტს წლიურად 20 მილიონი ლარი სჭირდება, სახელმწიფომ კი მხოლოდ 4 მილიონამდე გამოყო, ამიტომაც, დეპარტამენტისგან ბოძებული 18 000 ლარი წყალმოთხილამურეებმა ამ ეტაპზე არ უნდა იცოტავონო. „არადა, ეს თანხა სასაცილოდ მცირეა, —აღნიშნა მელიამ, — ამ ფულით მხოლოდ 2 ტურნირზე თუ გააგზავნი სრულ გუნდს, სხვაზე ხელი არ მიგვიწვდება. თავად განსაჯეთ, უცხოელი წყალმოთხილამურეები წელიწადში 10-12 ტურნირში ასპარეზობენ. აბა, როგორ გინდა მათ გაეჯიბრო?" კვლავ კითხვით მოგვმართა მელიამ. არადა, მიუხედავად ასეთი სხვაობისა, ჩვენმა გენადი გურალიამ მაინც შეძლო 2 საერთაშორისო ტურნირის მოგება.

საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციას საერთაშორისო ფედერაციაში საკმაო გავლენა ჰქონია, ჩვენს ფედერაციას იქ 2 ხმოსანი ჰყოლია, მელიას და საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის ობრი შინას ძველი მეგობრობაც არ შეწყვეტილა, ამიტომ, მელიას დაპირებით, საერთაშორისო ფედერაციას საქართველოს სასიკეთოდ ბევრს გააკეთებინებს. „ფედერაციას სახელმწიფოსგან ხელშეწყობა სჭირდება, თუ ფული იქნება, მიუწვდომელი არაფერია. ფოთმა 6 წლის წინ უკვე უმასპინძლა ევროპის ჩემპიონატს, დამეხმარეთ და მე გპირდებით, რომ გაისად ფოთში მსოფლიოს ჩემპიონატიც გაიმართება. ეს არ არის ილუზია, ეს რეალობაა, რომლის მოახლოებაც სახელმწიფოსგან ხელშეწყობით შესაძლებელია. შარშან საერთაშორისო ტურნირი უნდა ჩაგვეტარებინა ფოთში, 14 ქვეყნის წარმომადგენლებს ლამის აქეთ წამოსასვლელი თვითმფრინავის ბილეთები აღებული ჰქონდათ, მაგრამ ფოთის ყოფილმა მერმა ნადარაიამ ჩაშალა ეს ტურნირი" — გვითხრა მელიამ.

მოკლედ, რომენ მელია ბევრ სასიკეთოს გვპირდება, ახლა სიტყვა სპორტის მესვეურთ ეკუთვნით. თუ მათაც ხელი გამოიღეს, ალბათ, რეალობად იქცევა მელიას შეპირებული მსოფლიოს ჩემპიონატი. ამ კაცს ტყუილი ქადილი რომ არ სჩვევია, ამის დასტურად 1991 წლის ევროპის ჩემპიონატიც გამოდგება, რომლის გამართვაშიც მელიამ ლომის წილი დაიდო.

**ლევან ჯავახიშვილი**

ფრენბურთი

# ფრენბურთის სახლი შენდება

ახლახან ბათუმში დასრულდა ფრენბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის მესამე წრე და ამით ქვეყნის პირველობაც დამთავრდა.

ათი გუნდიდან ბოლო ეტაპს ოთხი შემორჩა, მათ შორის უძლიერესი სამხედრო აკადემიის გუნდი აღმოჩნდა და საქართველოს ჩემპიონის წოდებაც მას დარჩა. სამხედროებს ბოლო ტურის მასპინძლების, ბათუმის კოლეჯის გუნდი ჩამორჩა, მესამე ადგილზე კი აგრარული უნივერსიტეტის გუნდი გავიდა. საპრიზო ადგილის გარეშე თბილისელი უნივერსიტეტელები დარჩნენ, არადა, მეორე წრის შემდეგ მეორე ადგილზე იყვნენ, ბათუმის სპორტის კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზი საუკეთესო მოთამაშისთვის აკადემიელმა მამუკა მაცაბერიძემ მიიღო.

გოგონებში ქვეყნის ჩემპიონობა სპორტის აკადემიის გუნდმა „კოლხმა" მოიპოვა. მეორე ადგილზე აგრარული უნივერსიტეტის გუნდი გავიდა, მესამეზე — ოლიმპიური რეზერვების სკოლა.

18-22 სექტემბერს ბათუმში ჩატარდება საქართველოს ჩემპიონატი პლაჟის ფრენბურთში, რომელშიც 8 კაცთა და ამდენივე ქალთა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. საპლაჟო ფრენბურთის ქვიშიან მოედანს ბათუმელები ჩოგბურთის კორტების სიახლოვეს მოაწყობენ. როგორც ფრენბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ედუარდ სანთელაძემ მითხრა, ჩვენში აქამდეც ატარებდნენ საპლაჟო წესებით ჩემპიონატს, ოღონდ ჩვეულებრივ მოედნებზე.

— ჩვენ ახლიდან ვაშენებთ ფრენბურთის სახლს, — თქვა ბატონმა ედუარდმა — მშენებლობა კი, მოგეხსენებათ, საძირკვლიდან იწყება. ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ იმ მიზნისკენ, რომელიც ორი წლის წინ დავისახეთ. გაიზარდა საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდების რაოდენობა და გეოგრაფია. გაისად 12 გუნდის მონაწილეობა გვაქვს განზრახული.

**ერეკლე ძიძილაშვილი**

ჭიდაობა

## მესამე ვეღარ...

(გეა) ფინეთის ქალაქ ტურკუში დასრულდა ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მძიმეწონოსანთა ფინალში თამაზ გოგელია დამარცხდა რუს ტარაბარინთან. გოგელიას ვერცხლამდე ბრინჯაოს მედალი მიიღო კობა ბალავაძე (49 კგ). ჩვენები ახლოს იყვნენ მესამე მედალთან, თითქოს ირგუნეს კიდეც, მაგრამ... 76 კგ წონაში ბესარიონ ზურაბიანმა ეგვიპტელს მოუგო, მსაჯმაც, წესისამებრ, ზურაბიანის ხელი აღმართა, მერე კი ეგვიპტელებმა გააპროტესტეს ბრძოლის შედეგი და საპროტესტო კომისიამ ჩვენიანს მეთხე, მოწინავეთ კი მესამე ადგილი უბოძა


ქირავდება

ერთოთახიანი, იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა საბურთალოზე,

ქავთარაძის ქუჩაზე

ფასი შეთანხმებით

93-15-72

# მოტოციკლი

| 500 კუბ. სმ |
|---|
| 1. მაიქლ დუენი (ავსტრალია, ჰონდა) 46.55,378 (საშუალო სიჩქარე 154,325 კმ-სთ); 2. ტადაიუკი ოკადა (იაპონია, ჰონდა) 46.55,609; 3. ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა) 47.19,781; 4. ნობუაცუ აოკი (იაპონია, ჰონდა) 47.23,669; 5. ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა) 47.26,724; 6. დარელ ბითი (ავსტრალია, სუძუკი) 47.27,921; 7. დორიანო რომბონი (იტალია, აპრილია) 47.39,850; 8. ხუან ბორხა (ესპანეთი, ელფი) 47.42,423; 9. ნორიფუმი აბე (იაპონია, იამაჰა) 47.43,535; 10. ტაკუმა აოკი (იაპონია, ჰონდა) 47.58,907 |
| სასტარტო განლაგება: დუენი (1.32,872), კარლოს ჩეკა (ესპანეთი, ჰონდა), ბარუში, ოკადა; რომბონი, ნ. აოკი, კადალორა, კენი რობერტს-უმცროსი (აშშ, მოდენაზი); ... უსწრაფესი წრე: დუენი 1.32,856 (155,970 კმ-სთ) |
| საჩემპიონატო მონაგარი. პირადი: დუენი 270 ქულა; ოკადა 149; ნ. აოკი 139; ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰონდა) 102; კადალორა 96; ტ. აოკი 86; ბარუში 85; აბე 84; ჩეკა 83; რომბონი 71; ... გუნდური: ჰონდა 275; იამაჰა 128; აპრილია და სუძუკი 71 |

| 250 კუბ. სმ |
|---|
| 1. რალფ ვალდმანი (გერმანია, ჰონდა) 42.50,897 (152,100 კმ-სთ); 2. ტეცუია ჰარადა (იაპონია, აპრილია) 42.51,030; 3. ლორის კაპიროსი (იტალია, აპრილია) 43.02,393; 4. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი, ჰონდა) 43.06,035; 5. ტოჰრუ უკავა (იაპონია, ჰონდა) 43.08,643 |
| განლაგება: კაპიროსი (1.34,346), ჰარადა, ჟაკი, ვალდმანი; უკავა, მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა), ... უსწრაფესი: ჰარადა 1.34,137 (153,848 კმ-სთ) |
| პირადი: ჰარადა 182; ვალდმანი 176; ბიაჯი 160; ჟაკი 139; უკავა 118; კაპიროსი 103; ... გუნდური: ჰონდა 260; აპრილია 215; ... |

| 125 კუბ. სმ |
|---|
| 1. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) 43.43,254 (143,554 კმ-სთ); 2. მასაკი ტოკუდომე (იაპონია, აპრილია) 43.45,034; 3. ნობორუ უედა (იაპონია, ჰონდა) 43.51,753; 4. გარი მაკქოი (ავსტრალია, აპრილია) 43.52,128; 5. რობერტო ლოკატელი (იტალია, ჰონდა) 43.59,512; ... უსწრაფესი: როსი 1.39,236 (145,943 კმ-სთ) |
| პირადი: როსი 245; უედა 159; ტომომი მანაკო (იაპონია, ჰონდა) 132; კაზუტო საკატა (იაპონია, აპრილია) 112; ხორხე მარტინესი (ესპანეთი, აპრილია) 96; ტოკუდომე 89; მაკქოი 83; ... გუნდური: აპრილია 265; ჰონდა 208; იამაჰა 117 |
| შემდეგი ეტაპი — ჩეხეთის დიდი პრიზი 29-31 აგვისტოს ბრნოში გაიმართება |

მსოფლიო პირველობის XI ეტაპი

## ბრიტანეთის დიდი პრიზი

15-17. 08. დონინგთონ-პარკი



# მიკი ლეგენდად იქცა

ქვინზლენდელმა მაიქლ დუენმა წელს გამართული ათი რბოლიდან ცხრა რომ მოიგო, მისი ვადამდე გაჩემპიონება ალარავის აეჭვებდა. ასოკირკიტა ხალხმა XI ეტაპის წინ გამოთვალა კიდეც, მიკიმ დონინგთონ-პარკზე VII ადგილი რომ დაიჭიროს, იაპონელი მდევრები ველარაფერს დააკლებენო.

აგრე არ უნდაო და დუენმა ისევ მოიგო, რითაც შეიქნა ოდენ მესამე მოტოციკლისტი, ვინაც ზედიზედ ოთხჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. დუენამდე ამისთვის მიუღწევიათ აწ განსვენებულ ბრიტანელ მაიქ ჰეილვუდს (1962-65 წლებში) და დიდ იტალიელ ჯაკომო აგოსტინის, რომელიც ჩემპიონი სულ 8-ჯერ ყოფილა, 1966-72 წლებში კი ზედიზედ შვიდჯერ გაუმარჯვნია.

დუენი 1965 წლის 4 ივნისს ბრისბენში დაბადებულა. ამჟამად საყვარელ სელინასთან ერთად მონაკოში სახლობს, მოტოციკლს კი ცხრა წლისა რომ იყო, იმ ხნიდან დააქროლებს.

1989 წლიდან მიკი „500“ კლასში ასპარეზობს. მაშინვე მოიხვეჭა პირველი ქულები, დასავლეთ გერმანიის დიდ პრიზზე კი კვარცხლბეკზეც მოხვდა — III ადგილი დაიჭირა. შემდეგ სეზონში ავსტრალიელმა ესპანეთში მოიპოვა პირველი პოული, უნგრეთში კი — პირველი დიდი პრიზი.

დუენის მონაგრის სრული სასეზონო ნუსხა ასეთია: (დპ დიდი პრიზი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1989 | IX ადგილი | 81 ქულა | |
| 1990 | III | 179 | 1 დპ |
| 1991 | II | 224 | 3 |
| 1992 | II | 136 | 5 |
| 1993 | VIII | 120 | 1 |
| 1994 | I | 317 | 9 |
| 1995 | I | 248 | 7 |
| 1996 | I | 309 | 8 |
| 1997 | I | (270) | (10) |

მიკი მონაწილეობდა 117 რბოლაში, რომელთაგან 105 დაასრულა. პოული 46 ჭერია, კვარცხლბეკზე 80-ჯერ ასულა, დიდი პრიზი კი 44 მოუხვეჭია. დარჩენილ ოთხ ეტაპზე დუენი მინიმუმ კიდევ ორის მოგებას დაეშურება, რათა დაამხოს აგოსტინის მეოთხედი საუკუნის წინანდელი რეკორდი — სეზონში 11 დიდი პრიზი.

დუენი ყოველთვის „ჰონდათი“ ასპარეზობდა. ახლა სხვა გუნდიც გამოჩენია მთხოვნელად. დიდი მრბოლი მის ვინაობას არ ამხელს, მაგრამ ამბობს, მისი პირობები „ჰონდასას“ ჯობს და ყველაფერს სეზონის ბოლომდე ავწონ-დავწონიო.

მიკის ხშირად განუცხადებია, ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც კი მსურდაო. ამიტომაა, რომ ახლა თურმე მხოლოდ სიამოვნებისთვისღა ასპარეზობს და რადგანაც ფსიქოლოგიურად ალარაფერი თრგუნავს, ისეა გალაღებული, რომ სულ უფრო და უფრო იოლად იმარჯვებს.

არადა, დუენს თავს ბევრი უბედურება გადახდენია. 1992 წელს ჰოლანდიის დიდ პრიზზე ისე დაშავდა, რომ ფეხი უნდა მოეკვეთათ, მაგრამ მრბოლი ბედად შეეხმიანა ბოლონიელ დასტაქარ კლაუდიო კოსტას, ვინაც დუენი საავადმყოფოდან დაიხსნა, თავისთან წაიყვანა და სეზონის ბოლოს ასპარეზსაც კი დაუბრუნა. მაშინ ავსტრალიელს საჩემპიონოდ სულ რაღაც 4 ქულა ვერ ეყო.


მსურველს შევასწავლით

კომპიუტერს

დარეკეთ 23 20 66. იკითხეთ

მარიკო ან ზაზა


კვირის რბოლას დავუბრუნდეთ. დუენი კვალიფიკაციის დროს ჩიოდა, დონინგთონზე ყოველ წელს სუსტდება ტრასასთან შეჭიდულობა. ამიტომაა, რომ თუ შაბათს — პარასკევის, კვირას კი — შაბათის შედეგები მაინც გაუმჯობესდება, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო მოხდება, მონაწილენი ტრასას რომ მივეჩვევითო.

დუენი ორივე კვალიფიკაციაში საუკეთესო იყო, მაგრამ სტარტი ისევ ცუდად აიღო. მერე III წრეზე მაინც დაწინაურდა, მაგრამ არც ოკადა აღმოჩნდა ჯაბანი და XXI-ზე გაუსწრო. მიკიმ ლიდერობა XXV წრეზე დაიბრუნა და 30-წრიანი შეჯიბრი რომ მოიგო, მარცხენა მუშტი ჰაერში მოიქნია.

„250“ კლასში ბიაჯი დაეცა, ვალდმანმა კი ჰარადას ბოლო მოსახვევშიღა აჯობა და ქულებით იტალიელს გადაუსწრო. „125“ კლასში ნორჩი როსის მდევარი მანაკო ბოლო მოსახვევში მოცურდა და ვალენტინომაც მანქანა ისევ ყალყზე შეაყენა, რაკი წელს ეს უკვე მეცხრედ გაიმარჯვა.

თენგიზ არტამონოვი

# ველორბოლა

## ტაფის სოლო

ბრიტანეთის კლასიკურ რბოლაში [illegible] იტალიელმა [illegible] 31 წლის ანდრეა ტაფიმ, რომელიც ... შენელოვანეს გამარჯვებად აქამდე შარშან მოგებული ერთდღიანი „ჯირო დი ლომბარდი“ ითვლებოდა, ბოლო 15 კილომეტრზე თავზეხელაღებული სოლოგაქცევა განახორციელა და ექვსსაათიანი შეჯიბრი მდევრებს გვარიანი სხვაობით მოუგო.

ბოლო რვა წლის მანძილზე იტალიელებმა ბრიტანეთში მეექვსედ გაიმარჯვეს. გაისად ამ წარმატებას ველარ გაიმეორებენ, რადგან ბრიტანულ ეტაპს მსოფლიო თასის პროგრამაში გერმანული შეენაცვლება.

რიგიანად ირბოლა მსოფლიო თასის ლიდერმა, დანიელმა როლფ სორენსენმაც, ვინაც წლევანდელ ეტაპებზე უქულოდ ჯერ არ დარჩენილა. ჯამურ ჩათვლაში მან მეტად გაუსწრო იტალიელ ბარტოლის. რაც შეეხება ტაფის, მას თასის მოპოვების იმედი ჩაესახა, რადგან მისივე თანაგუნდელი — თასის შარშანდელი და შარშანწინდელი მფლობელი, ბელგიელი იოჰან მიუზეუვი წელს ფორმაში ვერაა და „მაპეის“ უფროსობაც ამიერიდან იტალიელს დაახმარს კოლექტივის სხვა წევრებს.

თასის VIII რბოლა ამ კვირას, ციურიხში გაიმართება.

მაია მენთეშაშვილი

| მსოფლიო თასის VII რბოლა |
|---|
| 17.08. როჩესთერის (ინგლისი) კლასიკური (242 კმ): 1. ანდრეა ტაფი (იტალია, მაპეი) 6:07.42; 2. ანდრეა ფერიგატო (იტალია, როსლოტო), 3. ჯანლუკა ბორტოლამი (იტალია, ფესტინა), 4. სტეფან ელო (საფრანგეთი, ლა-ფრანსეზ-დე-ჟო) და 5. ანდრეა ვატერონი (იტალია, ზკრინიო) ჩამორჩნენ 43 წამით; 6. მაქს შანდრი (ბრიტანეთი, ლა-ფრანსეზ-დე-ჟო) .49; ... 13. როლფ სორენსენი (დანია, რაბობანკი), 14. ჟო პლანკერტი (ბელგია, ლოტო), ... 18. ანდრეი ჩმილი (უკრაინა, ლოტო) .55 |
| შვიდი რბოლის ჯამი: სორენსენი 225 ქულა; მიკელე ბარტოლი (იტალია, ტექნოჯიმი) 196; ტაფი 190; ბიტ ცბერგი (შვეიცარია, მერკატონე უნო) 120; ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) 114; შანდრი 113; ჩმილი 112; პლანკერტი 106; დავიდე რებელინი (იტალია, ლა-ფრანსეზ-დე-ჟო) 105; ... იოჰან მიუზეუვი (ბელგია, მაპეი; შარშანდელი ჩემპიონი) 95 |

# ქიციცა და ქიცმაცურიც

# ფინანსობამ წამშრდლა

ფინანსები რომ მიეძალებიან, იმ სპორტის საქმე ცუდად წავა.

არ გეგონოთ, ჩვენი ქვეყნის ამბავს ვყვებოდე. შორს, ხუთი საათის სარტყლით აღმოსავლეთით გადავალ და ავსტრალიური „ლიგის“ ანუ რაგბიდან 1908 წელს გამდგარი 13-კაცა ბურთაობის უბედურებაზე ჩამოვაგდებ სიტყვას.

ეს თამაში სიდნეისა და ბრისბენში ბოლო დრომდე რაგბზე პოპულარული იყო. იქაური არლ ლიგა 20 გუნდამდეც კი გაიფხორა, მაგრამ ამ სამი წლის წინ რაღაც ჭირად მოევლინა ექს-ადელაიდელი, აწ კი ლოს-ანჯელესში დამკვიდრებული მედია-მაგნატი რუპერტ მერდოკი, სამწყსოს ნაწილი დიდი ფულის მეშვეობით წაგვარა და თავისთვის დაიარსა სუპერ-ლიგა, რომელიც სასამართლომ არლ-ის საჩივრის გამო თავიდან ერთი წლით კი აკრძალა, მაგრამ წელს განაჩენი გააუქმა, რის გამოც ავსტრალიაში წელს პარალელურად მოქმედებს 12-გუნდა არლ და 10-გუნდა სუპერ-ლიგა.

არლ სიდნეურ ძირებს დაუბრუნდა, სუპერ-ლიგა კი მსოფლიოს ედება. ჩრდილო ნახევარსფეროს სეზონი ზამთრიდან ზაფხულში გადაატანინა, რათა სამხრეთულისთვის დაემთხვია და ორი სუპერლიგა ერთმანეთს გაჯიბრებოდა.

მერდოქის ბიჭებმა შარშან ნოემბერში მსოფლიოს დიდი ამბით წარუდგინეს „საკლუბო მსოფლიო პირველობა“ და დაიტრაბახეს, ასეთი გაქანების შეჯიბრი მსოფლიოში ჯერ არცერთ ბურთაობას არ ღირსებიაო.

სუპერლიგელები ნაწილობრივ მართლები იყვნენ, მაგრამ აი, აგვისტოს დამდეგს ჩამთავრდა მსოფლიო პირველობის ჯგუფური ეტაპი და ლიგასაც მთლად წაუხდა იმიჯი, რადგან დიდად ნაქები შეჯიბრი უფერული გამოუვიდა. და კიდევ, რაკი არლ-სა და სუპერ-ლიგას მოაკლდათ მაყურებელი და სპონსორები, რომლებიც რაგბმა და ავსტრალიურმა ბურთაობამ წაართვეს, ორივემ შერიგებაზე დაიწყო საუბარი. მოლაპარაკებებიც გაიმართა, მაგრამ ამ ორშაბათს გამოცხადდა, რომ მოშუღარნი ვერ მორიგებულან. ჰოდა, ლიგა მის ციტადელში — ავსტრალიაში გაისადაც ორად გახლეჩილი დარჩება, რაც მას კიდევ უფრო დააკნინებს.

რად ვერ გაამართლა მსოფლიო პირველობამ? — რადა და იმად, რომ ფინანსებმა ფორმულა უხეირო შეურჩიეს: ევროპის გუნდები მხოლოდ ავსტრალაზიისას ეთამაშებოდნენ, ესენი კი მეტოქეზე ბევრად ძლიერები გამოდგნენ, თუმც კი კადრების უკეთესი ნახევარი არლ-ში ჩაურჩათ. ჰოდა, ნახევარსფეროების ჯახი სამხრეთმა 52-8 მოიგო.

VISA-ს საკლუბო მსოფლიო პირველობა

სენთ-ჰელენსს ოქლენდიც მოერია!

ავსტრალაზია

ა ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ¼ ბრისბენი | 6 | 6 | 0 | 0 | 270: 52 | 12 |
| ¼ ოქლენდი | 6 | 6 | 0 | 0 | 268: 82 | 12 |
| ¼ ქრონალა | 6 | 6 | 0 | 0 | 230: 54 | 12 |
| პენრითი | 6 | 6 | 0 | 0 | 256:120 | 12 |
| კანბერა | 6 | 5 | 0 | 1 | 302:108 | 10 |
| ქენთებრი | 6 | 4 | 0 | 2 | 218:121 | 8 |

ბ ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ¼ პანთერი | 6 | 6 | 0 | 0 | 226: 50 | 12 |
| ჩრდ. ქვინზლ. | 6 | 5 | 0 | 1 | 228: 92 | 10 |
| ადელაიდა | 6 | 4 | 0 | 2 | 170: 68 | 8 |
| პერთი | 6 | 4 | 0 | 2 | 148:104 | 8 |

ევროპა

ა ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ¼ ვიგანი | 6 | 2 | 0 | 4 | 89:212 | 4 |
| ¼ ლონდონი | 6 | 1 | 0 | 5 | 136:238 | 2 |
| ¼ ბრედფორდი | 6 | 0 | 0 | 6 | 82:228 | 0 |
| * სენთ-ჰელენსი | 6 | 0 | 0 | 6 | 96:270 | 0 |
| ვორინგთონი | 6 | 0 | 0 | 6 | 78:256 | 0 |
| ჰალიფაქსი | 6 | 0 | 0 | 6 | 56:340 | 0 |

ბ ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| * პარიზი | 4 | 1 | 0 | 3 | 48: 90 | 2 |
| ლიდსი | 4 | 1 | 0 | 3 | 64:138 | 2 |
| ოლდემი | 4 | 1 | 0 | 3 | 52:130 | 2 |
| სოლფორდი | 4 | 1 | 0 | 3 | 44:130 | 2 |
| შეფილდი | 4 | 1 | 0 | 3 | 54:168 | 2 |
| ქასლფორდი | 4 | 0 | 0 | 4 | 52:116 | 0 |



ავსტრალაზიის სუპერ-ლიგა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრისბენის რაშები | 17 | 13 | 1 | 3 | 449:259 | 27 |
| ქრონალას (სიდნეი) ზვიგენები | 17 | 11 | 0 | 6 | 375:214 | 22 |
| კანბერის ყაჩაღები | 17 | 10 | 0 | 7 | 400:321 | 20 |
| ქენთებრის (სიდნეი) ბულდოგები | 17 | 10 | 0 | 7 | 429:415 | 20 |
| პენრითის (სიდნეი) ფოცხვერები | 17 | 9 | 0 | 8 | 415:426 | 18 |
| პანთერის ზღვაოსნები | 17 | 7 | 0 | 10 | 334:335 | 14 |
| პერთის წითლები | 17 | 7 | 0 | 10 | 305:420 | 14 |
| ჩრდ. ქვინზლენდის მეჯოგეები | 17 | 5 | 2 | 10 | 306:402 | 12 |
| ოქლენდის მეომრები | 17 | 6 | 0 | 11 | 282:384 | 12 |
| ადელაიდის ყორნები | 17 | 5 | 1 | 11 | 267:383 | 11 |

ევროპის სუპერ-ლიგა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრედფორდის ხარები | 19 | 19 | 0 | 0 | 659:336 | 38 |
| ლონდონის რაშები | 19 | 13 | 2 | 4 | 533:350 | 28 |
| ლიდსის მარტორქები | 19 | 13 | 1 | 5 | 500:376 | 27 |
| სენთ-ჰელენსის წმინდანები | 19 | 11 | 1 | 7 | 519:454 | 23 |
| ვიგანის მეომრები | 19 | 11 | 0 | 8 | 580:350 | 22 |
| სოლფორდის წითლები | 19 | 10 | 0 | 9 | 363:420 | 20 |
| ჰალიფაქსის ლურჯწინდიანები | 20 | 8 | 1 | 11 | 478:484 | 17 |
| შეფილდის არწივები | 19 | 7 | 0 | 12 | 351:528 | 14 |
| ვორინგთონის მგლები | 19 | 7 | 0 | 12 | 381:591 | 14 |
| პარიზის სენ-ჟერმენი | 19 | 5 | 0 | 14 | 325:466 | 10 |
| ქასლფორდის ვეფხვები | 20 | 4 | 2 | 14 | 308:483 | 10 |
| ოლდემის დათვები | 19 | 3 | 1 | 15 | 403:562 | 7 |

ა და ბ ჯგუფებში ცალ-ცალკე შეჯიბრებები გაიმართა. ცალკე ჩამუქული და ცალკე დანარჩენი გუნდები ერთმანეთს ეკვატორს გაღმა-გამოღმა ორ წრედ ეთამაშნენ. ცხრილი ოთხივე პულში ცალკე შედგა. ვისაც ¼ უზის, მეოთხედფინალში გავიდა, პლეი-ოფში * კი სენთ-ჰელენსმა 42:4 ძლია სენ-ჟერმენი.

სპორტის ლოგიკა თავდაყირა დადგა: ევროპის ჩემპიონმა ბრედფორდმა ყველა თამაში წააგო, პენრითმა ყველა მოიგო, მაგრამ უსამართლო ფორმულის გამოისობით „ხარები“ ჩემპიონობისთვის კიდევ იბრძოლებენ, „ფოცხვრები“ კი გავარდნენ, თუმც კი „ხარებს“ 54:14 მოუგეს. სამხრეთელმა მაჩანჩალა ოქლენდმა იგივე ბრედფორდი 64:14 დაიბრიყვა, თასის ბოლო ორი წლის მფლობელი სენთ-ჰელენსიც 70:6 გაანადგურა, მაგრამ ამან კიდევ ორ ბრიტანელზე ნაკლები ანგარიშებით რომ წაგო სამხრეთელებთან, ამისი წყალობით შემორჩა შეჯიბრს.

მეოთხედფინალები 4-5 ოქტომბრისთვისაა დანიშნული. შეიბმებიან ვიგანი — პანთერი, ლონდონი — ქრონალა, ბრისბენი — სენთ-ჰელენსი და ოქლენდი — ბრედფორდი. მოსალოდნელია ევროპელთა უარესი სრვა. ეს მერდოქის ბიჭებმა, ეტყობა, უკვე გაითვალისწინეს. იმისაც შეეშინდათ, რომ თუ ვინიცობაა სიდნეიში ფინალზე მოსეირეთა საკადრის რაოდენობას ვერ შეკრებდნენ, ამას არლ თავის გამარჯვებად გამოაცხადებდა.

ჰოდა, 18 ოქტომბრის დიდი ფინალის გამართვა სუპერ-ლიგამ ზელანდიის ოქლენდს გადაულოცა, ესაო და ახლა თქვენ იცით, ერთ-მილიონ დოლარ ჯეკპოტს როგორ მოუვლითო.

ნიკო ვეფხვაძე


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მექვილია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29